№ 72
კვირა, 1 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი

№ 72
კვირა, 1 აპრილი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქრისტე აღსდგა!

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 5 აპრილს.

ორშაბათს, 26 მარტს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი,

რასაც შვილნი გარდაცვალებულისა ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით აუწყებენ. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ორშაბათს, 2 აპრილს, საღამოს 7 საათზედ.

მიცვალებულს სამშაბათს, 3 აპრილს, დილის 10 საათზედ გამოასვენებენ საკუთარ სახლიდგან რომაელ კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში. (1—85—1)

ოთხშაბათს, 4 აპრილს,

თავად-აზნაურთა თეატრში, ბ-ნ ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით, ქართველ არტისტების მიერ წარმოდგენილი იქმნება

ედმონდ კინი

დრამა ხუთ მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩხეიძე, ნებიერიძისა, კუნდელი; ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ანანიაშვილი და სხვანი.

კინის როლს ალექსი-მესხიშვილი შეასრულებს.

დასაწყისი 8 საათზედ.

დამზღვევი საზოგადოება „როსსია“ აზღვევს მტკიცე საფუძველზედ და სასარგებლო პირობებით:

თანხას სიკვდილის შემთხვევისათვის,
თანხას მოხუცების უზრუნველ-საყოფელად,
ქვრივთა პენსიებს,
ქალთა მზითვებს,
ვაჟთა სტიპენდიებს,
მუდმივს შემოსავალს.

1901 წლის 1-ლ იანვრამდის დაზღვეულ იქმნა 75,863 კაცი.
160,840,000 მანეთისა.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების გამგეობაში (პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, № 37), ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქში. (1—48—1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის თეატრი.

ორშაბათს, 2 აპრილს,

მხოლოდ ერთი საგანგებო, სადღესასწაულო წარმოდგენა გამოჩენილის ამერიკელის **ელექტრო-მაგნოგრაფისა.** წარმოდგენილი იქნება პირველად

ხართა ჭიდილი

გამოჩენილი მებრძოლი
მატადორი ჰაზანტინთან

ყველაზედ გრძელი და საოცარი სცენა ქვეყანაზედ. „ზოლუშკა“, სამისნო ფეერია—არაკი 20 სურათად. მთვარეზედ მოგზაურობა, ნიუ იორკში ცეცხლის გაჩენა, ჰიპნოტობის სეანსი და მრ. სხვა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. (1—87—1)

ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების ღონების გასაძლიერებლად

თავმჯდომარე ამ საზოგადოებისა **ქნ. ა. ა. ამილახვარი** 3 აპრილს „სა-არტისტო საზოგადოების“ სადგომში გამართავს

საცეკვაო საღამოს.

დასაწყისი საღამოს 10 საათზედ.

ქალებისათვის გულ ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. ბილეთები (2 მან. 10 კაპ.) იყიდება თავმჯდომარესთან (ძველ ინსტიტუტის ქუჩ., ტერ-ასატუროვის სახლი), და საზოგადოების მდივანთან პ. ბ. ხალათოვთან (ლაბორატორიის ქუჩა, საკუთარი სახლი). (2—უ.—2)

ნაფიცი ვექილი

ვიცოვიჩი

გადავიდა გრიბოედოვის ქუჩაზედ № 12. (1—86—1)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა ახალ-აღსტაფის გზა-ტკეცილის ზასტავის უფროსის თანაშემწეს მახვილაძეს, ტფილისის სამოსამართლო პალატის გამმიჯნავ საკრებულოს კანცელარიის მოხელეს თავ. თუმანიშვილს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა ქუთაისის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულს ჩაგანავას; კოლეჟსკი სეკრეტრობა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თარჯიმანს ყუბანეიშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ჩარკვიანს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ბაღდადის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს სადაძეს, ტფილისის ოლქის სასამართლოს გამომძიებლის თარჯიმანს შავდიას, ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ლალიაშვილს და საჩხერის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელეს დევიძეს.

ტფილისი, 31 მარტი.

ქრისტე აღსდგა, მკითხველო! აღსდგა კაცთა მიერ ჯვარ ცმული ძე კაცისა, რათა სიკვდილითა ჩვენი საუკუნო სიკვდილი დასთრგუნოს და საფლავების შინათა ცხოვრება მოგვანიჭოს. იქნება ამ აღდგომამ ქრისტესამ, ამ ბუნების საერთო გამოღვიძებამ და გამოფხიზლებამ ჩვენც, უგრძნობელთ, უხალისოდ, იმედ-დაკარგულთ, დაგნინებულთა და გულ-გატეხილთ, ძალა შთაგვბეროს, გულს იმედი შთაგვისახოს, მხნეობა მოგვცეს და ჩვენისავე თავის რწმენა შთაგვინერგოს შრომად, სამოქმედოდ მშობელ ქვეყნის სიკეთად, ჩვენთა ძმათა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

მერე რაოდენი საქმეა, რაოდენი სამგალია, რომელიც მუშაკთ ელის. რაოდენი გულის-ტკივილი, თავ-გამოდება და განწირვაა საჭირო, მაგალითებრ, თუნდა იმისათვის, რომ ჩვენთა ძმათა, აწ უვიცობის უკუნში მყოფთ, ფეხზედ წამოდგომა და წელში გამართვა შეიძლონ, მოღონიერდნენ, ისწავლონ და გონიერის შრომით გამოიკვებონ თავი, შეგნებულნი და ცნობიერნი შვილნი შეიქმნენ თავისის ქვეყნისა.

განათლება საჭირია ამ მოძმეს ჩვენსას, აწ მიწად დახრილს, ცხოვრებით გათახსირებულს, წელში გამწყდარსა და გაბოგანებულს. შეანათეთ ცხოველ-მყოფელი სხივი განათლებისა ჩვენის გლეხის მიწურს ქოხში, რომელიც ბოლითა და მჭვარტლით არის ამოვსებული და რომელშიაც ქარი ოთხ-კუთხივ შეჰქშუის, და იქიდგანაც ახალნი მამულიშვილნი გამოვლენ, ახალნი გმირნი, ახალნი მუშაკნი ჩვენის ქვეყნის ვრცელ ყანის სამგალად, მუშაკნი, გონების ძალითა და გულის მხნეობით აღჭურვილნი და ცხოველის სიყვარულით აღსავსენი, იმ სიყვარულით, ურომლისოდაც ესოდენ გამოვიფიტენით, იმ სიყვარულით, რომელიც გვიანდერძა დიდებულმა ძემ კაცისამ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო“!..

აი, მაშინ აღორძინდება ერი ჩვენი, მაშინ გაიმართება წელში და ბუნებასთან ერთად იმასაც დაუდგება ბედნიერი გაზაფხული, მისის ცხოვრების აწ მოხრიოკებულს მთა-ველზედ ლამაზად აბიბინდება მწვანე და ყვავილი და შავის ზღვიდგან კასპიის ზღვამდე მთელი ერი, წოდებისა და მდგომარეობის განურჩევლად, ერთის გულის-თქმით დაიწყებს ძგერასა და სულთ დგმას. აწ რამდენსამე კაცს, ქვეყნისთვის თავ-დადებულს, ამ მცირე კრებულს ახალნი მუშაკნი შემოუერთდებიან, ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლის ფერხულში ისინიც ჩაებმიან და გაძლიერდება მაჯის ცემა მთელის ერისა, ცხოვრება აყვავილდება, ამოძრავდება, გაცხოველდება ერის სანუგეშოდ და სადღეგრძელოდ.

ნეტარება მას, ვინც ამ გამოფხიზლებას ერისას მოესწრება და ნეტარება მასაც, ვისაც უღვივის გულში იმედი ასეთის გამოფხიზლებისა!.. ნეტარება მას, ვისაც სწამს, რომ აწ გაუნათლებლობისა და უვიცობის ჩრდილით დაბნელებულს ქვეყანას მზის შუქი მიადგება და გაჰფანტავს ჩრდილს, უკუ ჰყრის ბნელსა და წყვდიადს. სად ასეთი იმედი არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც სიცოცხლე ჰღირს ჩალის ფასად, რადგან, თვინიერ ამ იმედისა, ადამიანი, პირუტყვს ემსგავსება, პირუტყვს, რომელსაც არც წარსული აქვს, არც მერმისი და რომლის სიცოცხლის ქვაკუთხედი მარტო ოდენ აწმყოა, აწმყო, მისის კუჭის ამოვსების ზრუნვის ფარგალსა და წრეში მომწყვდეული და შეზღუდული.

თუ შენც გიღვივის, მკითხველო, გულში ასეთი რწმენა, სიამოვნებით მოგესალმები: „ქრისტე აღსდგა!“, რადგან ეს სიტყვები სიმბოლოა სიკვდილის დათრგუნვისა, ცხოვრების მონიჭებისა, ბუნების გაღვიძებისა და გამოფხიზლებისა!..

ფარნაოზი

იუდა, ქრისტე აღსდგა!..

დიდ ხანს იჯდა იუდა ერთს ადგილას და ტყავზედ ნაწერს „ძველს აღთქმას“ ჩასცქეროდა, მაგრამ არ იქნა და არა, მაცთური აზრი არ სცილდებოდა. ფიქრისაგან სახე-დანაოჭებულმა ბოლოს წიგნს თვალი მოაცილა, მარჯვენა ხელზე დაეყრდნო და მარცხენა გულდაწყვეტილმა და სასოწარკვეთილმა უნუგეშოდ გაქნია.

ცეცხლის მფრქვევი, შავი გონივრული თვალები დაღლილობისაგან მთლად მიჰლეოდა, გასცროდა.

— არა-და, არა!—წამოიძახა ნელის ხმით... უბრალო სიკვდილის შვილი, ვიღაც დურგლის მიერ სამოწყალოდ გამოზრდილი და უვინაო მეფობას ჩემობს, ღმერთს თანასწორობას უპირებს!.. დეე, ჩამაქვავონ, მიწასთან გამასწორონ, არ შევუშინდები, თუ კი ამ შემცდარს ხალხს ვიხსნი, სირცხვილს მოვწმენდ. გავუმართლებ იესოს იმ სიტყვებს, რომლითაც პასექის ჭამის დროს მომმართა: „რომელმან შთამოყოს ჩემთანა კელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე“-ო. (მათ. თავი 26, მუხლი 23). მაგრამ როგორ, თუ იცი, იესო? სამარცხვინოდ უნდა გაგცე, როგორც მონა, ხალხის წარმწყმედი...

ამ ფიქრში იყო იუდა, რომ სარკმელიდგან უცბად მთვარემ პირში შეაშუქა. იუდა წამოდგა, იქვე კაჩხაზედ ჩამოკიდებული შავი წამოსასხამი მხარზედ მოიგდო და მღვდელ-მთავართა საკრებულოსაკენ საჩქაროდ გასწია.

* * *

შუა ღამე გადასული იყო. იერუსალიმი სდუმდა. არ სდუმდა მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლოდ მღვდელ-თავრის კაიაფას სასახლე, „სადა იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანნი შეკრებულ იყუნეს“. ჰყინავდა. ეზოს შუაგულ ღვდელ-მთავართა და წარჩინებულთა მსახურთ ცეცხლი გაეჩაღებინათ და გარს შემოჰსხდომოდნენ. ყველას სახეზედ რაღაც მღელვარება ეტყობოდა და დრო-გამოშვებით სასახლის კარისკენ იყურებოდნენ, საიდგანაც მწიგნობართა და მოხუცებულთა გახურებული ბაასი მოისმოდა. პეტრეც, ათთორმეტთაგანი, ცეცხლს მისჯდომოდა და ხელებს ითბობდა. დანარჩენნი სასახლის კართან შეგროვილიყვნენ და ნელის ხმით რაღასაც უთხრობდნენ ერთმანერთს. შავს წამოსასხამში გახვეული ვიღაც მაღალი კაცი ხან ამ ჯგუფთან მივიდოდა და უსმენდა, ხანაც ცეცხლზედ ითბობდა ხელს.

— მაშ მართალია, მანასე, რომ იესო ძედ ღვთისად აღიარებდა თავსა?—ჩაეკითხა ერთი მსახურთაგანი გვერდზედ მჯდომს მოხუცს, რომელიც ის იყო სასახლიდგან გამოვიდა და მწუხარე სახით მიუჯდა ცეცხლს.

— ღმერთო, მიხსენი წარწყმედისაგან, მაგრამ ეს კია ჩემის ყურით გავიგონე, როგორ თავხედად უპასუხა ღდელთ-მთავარს: „ამიერიდგან იხილოთ ძე კაცისა მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა ზაცისათა“-ო.

ყველას უცბად გმინვა ამოჰხდა გულიდგან. მხოლოდ პეტრე იჯდა უძრავად და ცეცხლს ჩასცქეროდა.

მოუხდა მაშინ მხევალი ერთ და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესოსთანა გალილეველისა.

პეტრე შეკრთა, ტყვია ნაკრავივით ფეხზედ წამოვარდა და ხელის სავსავით უპასუხა: არა ვიცი, რასა იტყვი!

შავ-წამოსასხმიანი კაცი უცბად შედგა, პეტრესთან მივიდა და თვალებში ჩააცქერდა.

— შენა პეტრე?

— იუდა!..

— ნუ გეშინის,—ჩასჩურჩულა იუდამ,—სარტყელში ხელი ჩაჰკიდა და განზედ გაიყვანა. მე, მე ვარ დამნაშავე, მე გავეც ქრისტე დ̃ ვცოდე კანონის წინაშე. ხალხი სიკვდილით დასჯას მოითხოვს უთუოდ-მერე იცი რად ჩავიდინე ეს? დავრწმუნდი, რომ იგი აღთქმული მესსია არ არის,—წარმოსთქვა აღელვებულმა... მაგრამ მაინც ჩემი საქციელი მეტად სასტიკია: მასწავლებელი მუდამ გულკეთილი და სამართლიანი იყო.

ამ ლაპარაკით იუდამ პეტრე ეზოს კარამდე მიაცილა.

— მაინც მძიმე ცოდვა ჩემი კანონის წინაშე. აღვადგინე ერის სახელი, მაგრამ მით ერთი უწმიდესი მცნება კანონისა: „არა კაცი ჰკლა“ დავარღვიე. სისხლი მისი ამიერითგან ჩემს კისერზეა.

და ვითარცა გამოვიდა პეტრე გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა: ესეცა იყო იესოს თანანაზარეველისა.

და მერმეცა უარ-ჰყო პეტრე ფიცით და ჰხთქუა, ვითარმედ არა ვიცი კაცი იგი.

იუდა უცბად წაბარბაცდა, ცალი მუხლით ჩაიჩოქა.

— რას ნიშნავს ესა!.. პეტრეც ამართლებს?..

— რას იუდა, რას?—ჩაეკითხა შეშინებული პეტრე და წამოსაყენებლად ხელი გაუწოდა.

— არაფერი, არაფერი, ისე რაღაც მენიშნა... თავი მიბრუის... წყალი!

ამ დროს ერთს მსახურს მხარზედ უშველებელი ჩაფი წყალი შემოედგა და სასახლისაკენ მიჰქონდა:

— ღვთის გულისათვის მცირედი წყალი მიბოძე, აგე კაცს გული მისდის,—მიჰმართა პეტრემ მსახურს.

მსახურმა ჩაფი ჩამოიღო, მუხლის თავზედ წამოაწვინა და პეტრეს გაწვდილი მუჭა გაუვსო.

— ჰა, იუდავ, დალიე,—ეუბნებოდა პეტრე იუდას, რომ ამ დროს ეზოდგან გამომავალი რამდენიმე კაცი თავზედ წაადგათ.

— „ჰეშმარიტად შენცა მათგანი ხარ“, მიჰმართეს პეტრეს და გარს შემოეხვივნენ.

პეტრე მთლად გაფითრდა: გაფიცებთ ღმერთს, არა ვიცი კაცი იგი.

— რა? მესამედ?.. გიჟივით წამოიყვირა იუდამ და ფეხზედ წამოდგა. მაშ მართალია?.. პეტრე, სისხლი მამძიმებს, სისხლი!..მამალმა იყივლა.

— ვაგლახმე, იუდა! მეც წილი მიდევს...—ჩაილუღლუღა პეტრემ და მდუღარე ცრემლები გადმოყარა.

იუდამ საშინლად ამოიგმინა და ძალმა დაეშვა.

* * *

გოლგოთაზედ ამ საღამოს არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. მისი ახლად ხავს-მოკიდებული, მწვანე კალთები უთვალავის ხალხით აჭრელებულიყო. ყველანი—მოხუციდგან მოკიდებული პატარამდე, მწიგნობარნი, წარჩინებულნი, საქმიანნი და უსაქმონი გოლგოთასაკენ მიისისწვრიებდნენ გზას, სადაც ებრაელთ ჯვრები აემართათ; ზოგი-კი, შებინდებისა გამო, უკანვე მოქცეულიყო და სახლისაკენ მიეშურებოდა, რომ საჭირო საქმე თვალ-ნათლივ გაეკეთებინა და მოესვენა.

ერთს ამ ჯვართაგანზედ, შუაში, განრთხმულ იყო იესო, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ მისსა ავაზაკნი. ჯვარცმულთა გარშემო მრავალს ხალხს მოეყარა თავი. ყველაზედ წინ მღვდელ-მთავარნი, მწიგნობარნი და ფარისეველნი წამდგარიყვნენ, იესოს ნიშნს უგებდნენ, დასცინოდნენ და იტყოდნენ:

— „სხუანი აცხოვნნა, თავი თვისი ვერ ძალ-უძს ცხოვნებად. უკეთუ მეუფე ისრაილისა არს, გარდამოჰხდინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი“.

იესო პასუხს არავის უგებდა. სახე-დაღარულსა და ტკივილებით შეწუხებულს თვალნი ზეცისათვის მიეპყრა და წყნარის, გულმტკივნეულობით აღსავსე ხმით ოდნავ იტყოდა: შეუნდევ, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იტყვიან!..

იქვე იდგნენ გულ ხელ-დაკრებილნი მარიამ, დედა იესოსი, მარიამ მაგდალინელი, სალომე, მარიამ იაკობ მცირისა და, ღრმა მწუხარებით შეპყრობილნი, ჯვარცმულს იესოს გულ-მტკივნეულად შეჰყურებდნენ. დრო გამოშვებით ისმოდა მხოლოდ ჩუმი, მწარე ქვითინი და მედგარი გულში ცემა:

— ვაი, დედა შენს, შვილო, ვაი მე!

და ამ „ვაის“-ვე იმეორებდნენ სხვანიც.

ასე ორმოციოდე ნაბიჯით მოშორებით, განზედ, გვერდზედ წამოწოლილს პრტყელს ქვას ვიღაც მაღალი შავ-წამოსასხამიანი კაცი ამოჰფარებოდა და ჯვარცმულთ გაფაციცებით თვალს ადევნებდა.

— ჰო, აგრე, აგრე იტანჯე, ცრუ მეფევ ურიათა! მართალნი არიან მღვდელმთავარნი... თუ რომ ჰეშმარიტად იგია მეუფე ისრაელისა, ნუ თუ არ ძალ უძს იხსნასა თავი?.. მაგრამ დილანდელი პეტრეს მიერ სამგზის უარ ყოფა და იესოს სიტყვები რომ მომაგონდება, ტანში რაღაც შიშის ჟრუანტელი მივლის, ვთრთი უნებურად, თუმცა მშიშარა არასოდეს არა ვყოფილვარ! ეჭვი, რაღაც წყეული ეჭვი შემომეპარა და მოსვენებას არ მაძლევს! არა უშავს რა, გაივლის. აი, ვნახავთ, როგორ იხსნის თავსა და დაამტკიცებს, რომ იგი ჰეშმარიტად ძე ღვთისაა! ამბობდა იუდა თავისთვის და მწარე ღიმილით გაჰყურებდა იესოს, მაგრამ სიშორისა გამო ყოველსავე კარგად ვერ ჰხედავდა და ხელს იშველიებდა, რომ იესოს სახეზედ აღბეჭდილი თითოეული ტანჯვისა წამი გარკვევით გაერჩია.

— მაგრამ, არ მესმის სწორედ მიზეზი რა არის; აგერ ვეღარას ვხედავ! ნუ-თუ ამ ჯვარცმულის კაცის სისხლმა ასრე დამაბრმავა და ღვთის სამართალი მსჯის?—განცვიფრებული იმეორებდა იუდა და ჯავრ-მორეული და აღელვებული ხელებს იმტვრევდა.

უცბად სულ მთლად დაბნელდა. შემკრთალი ხალხი მაშინვე სახლებისაკენ გაეშურა. ჯვარცმულებთან დარჩნენ მხოლოდ-ღა მახლობელნი, და მცველნი, რომლებიც მღვდელთმთავართა თხოვნით დასჯილთ ჰყარაულობდნენ, რომ ჯვარიდგან არავის ჩამოეხსნა.

იუდას უცბად სახე გაუბრწყინდა:

—დაღამებულა!—იფიქრა იუდამ და წამოიწია; წამოსასხამი თავზედ მოიხურა და ჯვარს ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა, რომ არავის შეენიშნა.

იესომ თავი გვერდზედ გადიღო, თვალები ზეცას მიაპყრო და მწუხარედ და გულის ტკენით წარმოსთქვა: ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რასათვის დამიტევე მე!

ყველამ სული განაბა. იუდაც იქვე ჩაჯდა და მწარე ღიმილით თვალები დააშტერა. მუნ მდგომარეთაგან ბევრმა გაიფიქრა, უთუოდ წინასწარმეტყველს ილიას ეძახისო და ცდა დაუწყეს.

ერთხელ კიდევ ამოჰხდა გმინვა იესოსა და სული განუტევა.

უცბად საზარელი გრგვინვა გაისმა, დედა-მიწა შეინძრა, ცა ღრუბლებით გადიჭედა, ელვა-ქუხილი ატყდა... იუდას გვერდით წამოწოლილმა პრტყელმა ქვამაც საშინლად დაიძახა და შუა გაიპო. სამტოტად ციდგან ნათელი ჩამოეშვა და იესოს ტანჯულს სახეს დაადგა. ყველა შეძრწუნდა, ყველას გულიდგან საზარელი გმინვა ამოჰსკდა. ასის თავი და იქ მდგომნი შეშინებულნი იტყოდნენ, რომ იგი ჰეშმარიტად ძე ღვთისა იყო!

იუდას მუხლები ჩაეკეცა, დედამიწაზედ გაერთხო.

— მაშ მართალია, ნუ-თუ... რომ ღმერთი გავყიდე?.. ცა და დედამიწა მასა ჰმოწმობენ! ოჰ, რომ შემეძლოს ცას ძირს დავცემდი და დედამიწას ასრე დავბდღვნიდი,—და ბდღვნა დაუწყო,—ოღონდ ეს საზარელი ხმა არა მსმენოდა!.. ნუ-თუ მოვტყუვდი და ხსნისა ნაცვლად დავღუპე ერი, გავარისხე ზეცა და დედა-მიწა?.. სადღა მაქვს ბინა, აგერ დედამიწა თითქოს მერღვევა, ეკლები მეუხვენ, ჰაერი მწვამს, ცა მუქარას მითვლის და იესოს დახუჭული თვალები... მისი წყნარი, მშვიდობიანი სახე... აგერ როგორ გაბრწყინვებულა!.. მერე, ის სისხლი, ეკლის გვირგვინს რომ დაუჩნევია, ხომ ჩემს კისერზეა?!. სად ვეძიო სიმშვიდე, ნუგეშს ვინღა მცემს, როდესაც ეს უგულო ასის-თავიც კი აგერ გულში მუშტს როგორ იცემს, როგორ ოხრავს და იტანჯება... უნდა გავშორდე ამ ადგილს, შორს, შორს სადმე წავიდე!..—და მუხლის თავებზედ ხოხვით უკან-უკან გაცოცდა. იესოს სახე-კი ისევ სდევნიდა, უსაყვედურებდა. იუდამ დუმილი ვეღარ შესძლო, მხეცივით დაიღრიალა და გეთსიმანიის ბაღისაკენ დაეშვა ხევ-ხუვში.

* * *

— ნუ, ნუ მდევნი, იესო!, ემუდარებოდა გადაფითრებული და თვალცრემლიანი იუდა თითოეულს ბალახის ძირს, კენჭს, მიწის მტვერს ხის ფოთოლს, ღრუბელს, მოწმენდილს ცას, მზის შუქს, მთვარეს, ვარსკვლავებსა და შეშინებული უკან-უკან მიიწევდა, მირბოდა, ხევხუვებში, გამოქვაბულებში იმალებოდა, თვალებზედ ხელს იფარებდა... მაგრამ არა და არა! მდინარე, ხის ფოთოლი, ფრინველთ გალობა, გოლგოთადგან მონადენი ოდნავი სიოც-კი, ყოველივე ისევ იმავე საზარს ხმას ეუბნებოდა, რომელიც იქ, გოლგოთაზედ, გაიგონა იუდამ უკანასკნელად, ისევ მის მიერ გაყიდულს ჯვარცმულს ღმერთს, ქრისტეს მოაგონებდა...

ორის დღე-ღამის უძილობისა და ამ ტანჯვისაგან ძალა მიხდილი იუდა ბოლოს გალავანს გარეთ, გეთსიმანიის ბაღის გვერდით, გზის პირად ერთის ბუჩქის ძირას მიწვა და მიიძინა. მთვარე შუბის ტარზედ იყო დასული. განთიადის სიომ დაჰბერა. იერუსალიმის მაღალ შენობებსა და გალავან-კოშკებზედ მინაშუქს მთვარის მკრთალს ნათელს გრძელი ლურჯი ზოლები გაევლო და ნელ-ნელა კრთომით იცრებოდა, დღის ნათელს უერთდებოდა. იქვე, მახლობლად, ქოლაში, ბულბულის სტვენა ისმოდა. იუდას თავზედ ჭოტმა გადუფრინა და დაჰყვირა. იგი უცბად შეკრთა, სახე დაეღმანჭა, მოიკრუნჩხა, აკანკალდა.

გზაზედ ვიღაც ქალები გამოჩნდნენ. ეს იყო მარიამ მაგდალინელი და მარიამ იაკობისა. იგინი ფეხ-აჩქარებით მოდიოდნენ და ხელების შლით რაღასაც ხმა მაღლა მოლაპარაკობდნენ.

ხმაურობაზედ იუდას გამოეღვიძა; შეშინებული წამოვარდა და ხელის სავსავით განზედ გახტა:

— ნუ, ნუ მდევნი, იესო! წამოიძახა კანკალით და მწარედ მოჰყვა ქვითინს. მაგდალინელის დანახვაზედ იუდას თითქოს იმედი მოეცა.—„მიხსენ, მარიამ, უთხარ იესოს, ნუ მდევნის ასრე! და სასოწარკვეთილმა ნამტირალევი, არეული, ჩაღამებული თვალები მარიამს მიანათა.

— როგორ თუ გდევნის? იუდა, ქრისტე აღდგა! — უპასუხა სიბრალულით მარიამმა, მაგრამ იუდას ამ თანაგრძნობისა და სიბრალულის კილომ ნუგეში ვეღარ ჰსცა. იგი თოფ-ნაკრავივით მიწაზედ გაიშალა და ყელში ხრიალით უაზროდ „ქრისტე აღდგა, ქრისტე აღდგა!“. და იმეორებდა.

მარიამ მაგდალინელმა და მარიამ იაკობისმა სიბრალულით თავი გადააქნიეს და გზას გაუდგნენ.

რამდენისამე ხნის შემდეგ იუდა უკვე ხეზედ ეკიდა. თავი ჩამოერჩო.

ინ-ანი

„დედიჯან, დედი“!..

(სააღდგომო ამბავი)

აღდგომის მოლოდინს საოსტატო ინსტიტუტის მოსწავლეთათვისაც ფაცი-ფუცი შეეყენებინა: ზოგი გამგზავრებას აპირებდა სახლში, მშობლებთან დღესასწაულების გასატარებლად, ზოგი, სარგებლობდა რა სწავლისგან თავისუფალ დროით, ეშურებოდა თავი დაეხწია სასწავლებლის „შეხუთულ“ ჰავისთვის და კედლებს გარეთ-ქალაქში ხარბათ ესუნთქა „სუფთა ჰაერით“ და „დამშეული“ მისცემოდა სხვა-და-სხვა გასართობს. მცირე გუნდ პანსიონში დარჩენილ მოწაფეთაც ემჩნეოდათ ჩვეულებრივზედ მეტი მოძრაობა, მეტი სიმკვირცხლე და რაღაც სიმხიარულე მოლოდინის გამო. ერთად-ერთი მათ შორის, გერასიმ ...ძე კი არ იღებდა არავითარ მონაწილეობას ამ საერთო მოძრაობაში: ის მისჯდომოდა მოზრდილ სავარჯიშო ოთახის ერთ კუთხეში მაგიდას, რომელზედაც იდაყვები დაეყრდო, ხელები ჩაეფლა მოგრძო და კუპრივით შავ თმაში და თვალი ვეღარ მოეშორებინა დედისაგან მიღებულ წერილისათვის. მისი შავგვრემანი, ვაჟკაცური და ეშხიანი სახე, ახლად ამოყრილ წვერ-ულვაშით შეგინგლილი, დიდრონი შავი თვალები, რომლებიც ხშირ წარბებ-წამწამებით იყვნენ დაჩრდილული და მთლად მისი არსება ნაღვლიანი და უიმედობით იყო მოცული. ამხანაგებისა რომ არ შერცხვენოდა, გერასო აქამდე ცრემლით უხვად დანამავდა დედის წერილს, რომ იქნება შავი ფიქრები დროებითაც-არის გაებნია, რომ ცრემლს, ამ მალამოს გულისას, იქნება გაედნო და თან გამოეტანა ის, რაც ისე უწყალოდ და „სწოვდა“ გულის კოვზთან; მაგრამ მაშინ ხომ ამ „ცხოვრებით განებივრებულთაგან“ სასაცილო საგნად შეიქმნებოდა.

— ოო...ოხ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..—ფიქრობდა გერასო—იყოს მაინც იმ გვარი განმარტოებული, მოწყვეტილი ბინა, რომ მოურიდებლადა და თავისუფლად მივეცე ჩემ ფიქრთ, რომ იქნება მივიდე რამე დასკვნამდე... ან შეძლებოდეს კაცმა აგრძნობინოს ამ „განებივრებულთ“, რომ მე არაფერში ვარ „საძიძაო“, როგორც ესენი ფიქრობენ, რომ პირ იქით წვალება-ვაებაში აღზრდილს იმდენად ძალ-მომრეობა და მედგარი რისხვა ვერ შემაშინებს, თავს ვერ მომახრევინებს; რომ მე იქნება ამათზედ მეტი ხასიათის სიმტკიცე და უშიშრობა გამოვიჩინო რამგვარ მკაცრ მოვლენასთან, მაგრამ ყველა ამისდა მიუხედავად, [illegible] ვყევარ, მაწამებს და მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემლებს ჩემის ტანჯულ დედისა და ოჯახის გარემოება... მაშ მართლია?!... „ტანჯვით შობილი, ტანჯვით მოვკვდები, მხოლოდ ტანჯვაში ვგრძნობ ნეტარებას!“... მაგრამ ტანჯვაშიაც ნეტარება?—აქ რაღაც გაუგებარია ჩემთვის. ნუ თუ საბრალო დედაჩემს მიესიზმრება მაინც, რა არის, „ნეტარება“ კი არა, —მოსვენებული, უტანჯველი ცხოვრება; ლუკმის ცრემლში ამოუვლებლად პირში ჩადება!.. მახსოვს, როცა არ ვსთანხმდებოდი აქ წამოსვლას სწავლის გასაგძობად,—დაგეხმარები-მეთქი, — „არა, არა, არამ!..“ ხელების გასავსავებით და თავის ქნევით გადაჰკრით შესძახა საბრალომ და თავისებურის ალერსით დამიწყო დარიგება:

— ეხლა დროებით გაჭირვება არა სჯობია შემდეგ სამუდამოდ სინანულს? არა, თვალის სინათლევ, არა: შენ მხოლოდ მხნედ იყავ, იმეცადინე შენებურად, არავის ჩამორჩე და ეხლანდელს ნაკლისს შემდეგში ერთი-ორად იხლავ. ან რად გიღირს და მიღირს, რომ ნასწავლი მომიხვალ, შენც ერთისა და ორისებრ ხალხში გამოხვალ?! თორემ ეხლა რით უნდა დამეხმარო: „ფოჩტალიონათ“ წანწალით სულს გაგიწარებენ...

— და მერმე რა იმედით? — ვეკითხებოდი ჩემი მხრივ,—თქვენ მაინც ცოტა დახმარება, შესვენება არ გინდათ?.. და თუ არ დაგიშლია, აი, ჩემ შემდეგები მე და შენ ერთად დავზარდოთ-მეთქი.

— ყველასთვის ღმერთია მოწყალეო, გადაჰკრით მიპასუხა მან და პირველად გამოთხოვების დროს გულში ჩაკრულმა მარჯვენა მხარი მთლად ცრემლით დამილბო. რა აკრემლებდა საბრალოს?!.—ჩემთან მოშორება? თავისი უიმედობა? გულში აღძრული ბრძოლა მოვალეობისა და გაჭირვების შორის, თუ ყველა ეს ერთად?!.. რამდენი ხანია ქმარიც დაჰკარგა, დამარტოვდა და ან მამაჩემიც იმის სარჩენი არ იყო! აბა რა შეელა ახსოვს მამიჩემისაგან; ის, რომ გამუდმებით, ქართველურად, სახლში იყო მოკეცილი და ბუზღუნით უფრო ნავთს უსხავდა გულზედ ცეცხლ-მოკიდებულ ქალს, რომელიც ფხიზელი თვალით უყურებდა თანამედროვე ცხოვრებას და გულ-ხელ დაკრეფით ჯდომა არ ეხერხებოდა? ეჰ, რომელი ერთი უნდა გაიხსენოს კაცმა,—სთქვა მან მარჯვენა ხელის ჩაქნევით და ერთი პირი კიდევ შეუდგა წერილის კითხვას.

„ჩემო სულის დგმავ, ჩემო ვაჟკაცო და იმედო, შვილო გერასიმე! შენს მალე სამუდამოდ დაბრუნებასა და ნახვას მაღირსებს ღვთისმშობელი დედა და წმიდა გიორგის მადლი და ძალი. დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა: აგერ, ბრწყინვალე დღესასწაულები დგება და მგონი, შენს მეტი, ყველა თავისს სახლისკენ ეშურება, თავისთა შორის და შენ-კი ამ მცირე მოსვენება-გართობასაც მოკლებული ხარ და ვინ უწყის, მანდ, სასწავლებელში, მაძღრისათ გასაზრდოებენ მაინც? შენ ხომ არ მოიწერები შენს გაჭირვებას; ან თუ მოიწერე, მე შენ გითხრა, დაგეხმარები რამეში მე უბედური. ესლა დამრჩენია, ჩემო ნუგეშო, იმით-ღა გშველი, ჩემო სიამაყევ, რომ თვალ-ცრემლიანი ხშირად შევსთხოვ ღვთის-მშობელს დედას, მალე, ძალიან მალე მეღირსოს უვნებელი მენახო და გულში მაგრად ჩამეკრა დიდხანს, დიდხანს ჩემი შავი ბიჭი, რომ აღარავითარს ძალას აღარ შესძლებოდეს შენი ჩემი გულიდგან მოწყვეტა. რომ იცოდე, შვილო, არ ვიცი-კი რად, და რა ძალიან მომწყურდა შენი ნახვა! ნეტა სააღდგომოდაც ის გროშები არ გამოგეგზავნა და შენ თითონ მოსულიყავი. სააღდგომოდ-კი ვერ მოახერხებ? მაგრამ არა, არა— ცოტა-ღა დაგვრჩა, ცოტა,—ამიტომვე თუ ასრეთი მოუსვენრობა შემოეჩვია ჩემ გულს. ამ წერილს ლოგინიდგანა გწერ. არ მინდოდა შენთვისაც შემეტყობინებინა ჩემი ავადმყოფობა, მაგრამ ხომ ვერ ვიცრუებ და ისიც შენთან. ორშაბათს საღამოს შეშას ვაპობდი, სარეცხი მედგა და მგონი გავცივდი, მარცხენა გვერდში ქვალი დამადგა, ეხლა მგონი კარგათა ვარ, თუმცა გუშინ საღამოს სამკურნალოდაც გამიხდა საქმე; კარგი რომ მკურნალი არ მოვიდა: ეტლის ქირის გარდა, ორი მანეთი გასამრჯელოში ეთხოვა და საორ-სამ მანეთო რა მიჭირს! ეს მეორე კვირაა, შენი წერილი აღარ მომსვლია,—სიზმრებმა გადამრიეს, შვილო, —ვაი თუ ავათაცა ხარ და მე-კი არაფერი ვიცი! თუ დედა გიყვარს და გინდა ჩემი სიმშვიდე,—კვირაში თითო წერილს ნუ მომაკლებ; ხომ იცი, შვილო, მზე შენზედ ამომდის. შენი და-ძმები სოფელში გავისტუმრე, რომ მათი მოვლის თავი აღარა მქონდა; მე-კი ჩვენი მეზობელი კეკელა მივლის. ჩვენი ძროხა თუმცა გახმა, მაგრამ სამაგიეროდ წარსულს კვირაში სამი თასაკრავი გავყიდე თითო მანეთად, სამი წყვილი წინდა და შენს ზაფხულში აქ ყოფნობის დროს მოქარგული ბალიშის პირი. შენთვისაც მინდოდა ფულები გამეყო, მაგრამ შემომეხარჯა. მალე მაღირსებს, შვილო, ღმერთი შენს ნახვას, მალე. კეკელამ მოკითხვა შემოგითვალა. აქაური „ბარიშნები“ ახლა ხშირად გკითხულობენ: „შენი გერასო რას იწერებაო?“ უი, ნეტა-კი იმ დღეს მომასწრებდეს ყოვლად ზეციერი!.. დავილალე, შვილო! ზოგიც მერე. შენს მაგივრათ მოუთმენლად მოველი შენს წერილს. შენი სიცოცხლის მავედრებელი დედა ქეთევანი.“

— ჰმ!.. ნეტა თუ რად არის კაცის ცხოვრება ამ გვარად, უთანასწოროდ მოწყობილი, რომ იქ, სადაც ერთს ლუკმა-პურის შოვნაში მოქანცულობით თითქმის სული ხდება, მეორე თავს იხრჩობს, სიცოცხლეს ისპობს მხოლოდ იმიტომ, რომ გადაჭარბებულ ავლა-ქონების უანგარიშოდ ფლანგვას, ყოველგვარ ჟინის ზიზღამდე დაკმაყოფილებას ჩაუხშვია მისთვის ყოველივე ადამიანური გრძნობა, ვეღარა უშოვნია-რა ამ ქვეყნად სამოქმედო ან გასართობი და ცხოვრება მობეზრებია. ფიქრობდა გერასო.

— მე-კი რაღა უფლების ძალით ვგდივარ აქ, როცა, ვინ იცის, დაქანცულს ნახევრად შიმშილით და ავადმყოფობით სული ჰხდება!— შესძახა მან ხმა-მაღლივ, წამოხტა და გაცხარებულმა დაიწყო ბოლთისცემა ისეთის ღრმა ქშინვით, რომ გეგონებოდათ, იმოდენა, უკვე დაცარიელებულ ოთახის ჰაერი აღარა ჰყოფნისო. ორიოდე-ჯერ გავლა-გამოვლის შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და გულმოსულმა მუშტი ჰკრა. გაღებულ ფანჯარაში ქუჩიდგან ეტლების რახ-რახი, ხმაურობა და სიცილ-ხარხარი შემოესმა.

— ნეტა, რა გახარებთ, რა, თქვე უბედურებო?! ზიზღით მიჰმართა მან ქუჩას.—თქვენივე უარარაობა და გულ-ქვაობა?.. აქ, სუფთა ქუჩებში რომ ეგრე იჰაჰებით, აბა იმოდენა სიმამაცეც იქონიეთ და განაპირა ქუჩების სახლებშიაც შეიხედეთ? მაგრამ თქვენ რა, თქვენ სხვის... ოხ, რომ შემეძლოს!..—ვითომ რაო, რას ვიზავდიო?— მიუბრუნდა გერასო უმალ თავისს თავს და ფანჯრიდგან გამობრუნდა, —ჰხედავთ, სადამდის მიაღწია ჩემმა თავხედობამ? სხვას ვკილავ მაშინ, როცა მე (გერასომ გულში ხელი ჩაიცხო) ღვიძლმა შვილმა, ჰასაკოვანმა, ღონითა და ძალით სავსემ, დედის ვაების მნახველმა, კარგად მცოდნემ იმისმა, რომ საბრალოს როგორ არა ერთი დილა დასთენებია პრიალა თასაკრავების კერვაში, რის გამოც ჯერ შუა ხნის დედაკაცს თვალებიც-კი აქვს წამხდარი.—დიახ, მე, ყოველივე ამის კარგად მცოდნე, დავსთანხმდი დედის რჩევას, ვისარგებლე უსირცხვილოდ მისის გულ-კეთილობით, მისის სუსტის ძალ-ღონითა და მოვინდომე აქ სწავლის განგრძელება და წვრილი და-ძმაც მასვე, უმწეო დედაკაცს, შემოვახვიე თავზედ. და გახსოვს, გახსოვს?—ეუბნებოდა ის დაბეჯითებით თავისს თავს,—აქედგანაც-კი ცრუ იმედებით გატაცებულს,—რამდენჯერ მე განვიზრახე უმაღლეს სწავლის მიღებისათვის მომზადება,—წყურვილის მოსაკლავად!.. ხა, ხა, ხა!.— არა, არა, ნუ-კი იცინი, ნუ,—ამ შენ ქცევას სახელი დასდევ!.

— მაშ რა უნდა გექმნა?—ღმეჭით ეკითხებოდა თავისს მხრივ გერასიმეს მეორე ხმა —სამოქალაქო სასწავლებლიდგან, თუ არ დაგიშლიათ, სამას მანეთიან თანამდებობაზედ მიგიპატიჟებდნენ!

— რას მიჰქარავ, რას?? – უპასუხებდა გაბრაზებით გერასო და თან ხელებს აქნევდა, თითქოს რაღასაც იგერებსო.— ნუ თუ მხოლოდ პირუტყვული, მუცლის ამოვსების წადილი მომწევდა აქეთ! და ან კიდევ რა დროს მაღლა-მაღლა ფრენაა, როცა შიმშილით კუჭი გიხმება?!. შევიდოდი სადმე ქაღალდების გადამწერლად,—მედგარის ბიჯის გადადგმით წარმოსთქვა მან, —ან და იმავე „ფოჩტალიონად“. მამიჩემის შვილს არ მეკადრებოდა თუ? ლუკმა-პური ხომ გვექნებოდა, ამ გვარი მუქთა-ხორა არ ვიქმნებოდი და თასაკრავების კერვაში მშობელს დედას ღამეებს აღარ გავათენებინებდი, ოდნავ მაინც შეუმსუბუქებდი შავ-ბედს და მეც ამგვარი მოუსვენრობა აღარ მაწამებდა. ან ახლა რიღათი ვიქნები მეტი? ვთქვათ, მაისში გავათავე. მე შენ გითხრა, ჩვენს ქალაქშივე მომცემენ მასწავლებლობის ადგილს! თანაშემწედ, 32 მანეთზედ, იმ სიშორეზედ მიკრავენ თავს, რომ მგონი თვეში ერთი წერილიც ვერ მივაწოდო. .

— ახლა რომ ანთებად გადაექცეს და.... და მოკვდეს? რა მეშველება?!.—უცბად გაიელო გერასომ თავში და უნებლიედ ფეხებ ჩაკეცილი იქვე სკამზედ ჩაჯდა.

— გერასიმეს ძუძუს ვინლა მოაწოვებს, არა?—დაცინვით უპასუხა ნაცნობმა ხმამ, რომელიც თითქმის არაფერში ეთანხმებოდა მას.

— მომცილდი?—ხელის ჩაქნევით შეუტია საპასუხოდ, უმალ ფეხზედ წამოვარდა და ფიქრი განაგრძო. მართლაც და რა უნდა მეშველოს, სინიდისის ქენჯნამ ხომ მაშინ სრულიად მომისპო მოსვენება!.. მეც ყველაფერს ზურგს შევაქცევ. ან კი ღირს ცხოვრება ამ სისხლითა და ცრემლით გაპოხიერებულს მიწაზედ?.. წავიდე, მივხედო?! მაგრამ რით, ხელ-ცარიელი! გაკვეთილის შოვნა მაინც შეიძლებოდეს, მაგრამ ეხლა, აღდგომა მოახლოვებულს? ჰმ!.. ჩემის თავ-მოყვარეობის პატრონმა ორ-სამს ნათესავ-მეგობარს შევჩივლე ჩემი გარემოება და ვთხოვე დროებით ხელის გამართვა; მოწყალებისათვის ხელი გავუშვირე და, ვაიმე სირცხვილო და შელახულო თავ-მოყვარეობავ, ხელი ჰაერში გაშვერილივე დამრჩა! და მერმე რა მოხერხებით იციან თავიდგან მოშორება!.. „ძმობა, ერთობა!..“ მაგრამ რას უქვიანთ! მოსისხლე მტრობა, გაუტანლობა, ერთმანეთის ჭამა,—აი, საამდროვო კაცის დევიზი!.. შენსავე მოძმეს თუ გზა არ დაუტოვე, როცა ის პირ-დაღებული თვისის „მიზნისკენ“ მიისწრაფვის,—ისე გადაყლაპავს, რომ მგონი საიქიო სიიდგანაც ამოირიცხო! ო...ოხ! სადა ხართ, სადა, პირველო რწმენავ და იმედებო?! თქვენ? თქვენ სადღა ხართ მიმალულნი, „კეთილის სიტყვის მთესველნო“, მაგრამ როგორაც ვხედავ, მხოლოდ „სიტყვის“, რადგან ამოტელა ხეტიალში „ძმურად გამოშვერილ ხელს“ ვერსად შევეხეჩე!.. რამე უნდა მოვაგვარო,—ჯერ ერთი წერილი მივწერო:

„ჩემო საბრალო დედი!—დაიწყო წერა გერასომ,—ხომ იცი, როგორ დაალონებდა შენს გერასოს შენი ლოგინად ჩავარდნა? დედი, შენი თავი და წვრილი შვილები თუ არ გებრალება, მე ხომ გიყვარვარ, ჩემთვის მაინც გაუფრთხილდი ხოლმე თავს! აბა, ვინძლო, არ დეეზეჩავო მაინც ავადმყოფობასა და შენის კარგად ყოფნობის ამბით მალე გამახარო. უკეთუ უარესობა დაატყო თავს, გაფიცებ, რაცა გრწამს, მაშინათვე დეპეშით შემატყობინე და შენთვის თავ-დადებული შვილი ერთს წამში შენთან გავიბადები. ორიოდე თვე კიდევ მომითმინე, დედი, ორიოდე და დაგიმტკიცებ, რომ შენისთანა თავ-განწირულს დედას ხელის გულზედ-კი არა, ხატივით გილოცავ. გიგზავნი ამასთანავე გაკვეთილებიდგან დარჩენილს, მოჭარბებულს და შენთვის კი საჭიროს 2 მან. და 40 კაპ. მკურნალი რომ მოიწვიოთ, ემჯობინება. მოუთმენლად ელის შენს წერილს, მთლად შენის ფიქრით მოცული, შენითვე ამაყი, შვილი გერასო“.

—

გათენდა. აღდგომის დილა ამ დღესაც ისეთივე ლამაზი და საამური იყო, როგორც საზოგადოდ „დაჰკვებებია“ ამ ბრწყინვალე დღეს. აღდგომის ღამეს გერასო მარტო შეეგება სასწავლებელში; ვერავითარმა ამხანაგთა მუდარამ ვერ დასძლია და ქალაქში ან საყდარში ვერ წაიყვანა. გათენებისას მხიარულადა და სიცილ ხარხარით შემოცვივდნენ დაბრუნებულნი გერასოს ამხანაგები, ულოცავდნენ გერასოს „ქრისტე აღდგა“ და მის გასამხიარულებლად „ურა“-ს ძახილით მაღლა შესროლას აპირებდნენ, რომ სწორედ ამ დროს „ფოჩტალიონმა“ ხელში ერთი ბლუჯა დეპეშებით კარი შემოაღო. მოწაფენი მისცვივდნენ და თითქმის ხელიდგანა სტაცებდნენ მათ სახელობაზედ ამოკუთხულს დეპეშებს, რომლებშიაც ჩვეულებრივი მოლოცვის სიტყვები იყო.

გერასო-კი გაფითრებული და განმარტოებული მისჩერებოდა „ფოჩტალიონს“. მის გულს რაღაცა ძაგა-ძუგი გაუდიოდა. უნდოდა-კი ამხანაგებთან ისიც მისულიყო, მაგრამ აღარ მივიდა, თავს ძალა დაატანა და ამხანაგებს ზურგიც-კი შეაქცია და, ვითომც დამშვიდებულმა, ქუჩაში მოსიარულე ხალხს დაუწყო თვალიერება; თან სცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ არც აქამომდე მოჰსვლია ვისგანმე და არც ახლა მოუვიდოდა მოლოცვის ან „სხვა გვარი“ დეპეშა, მაგრამ ნაცნობი ხმა მაინც არ ასვენებდა და დაბეჯითებით ჩასჩურჩულებდა გერასოს: „ტყუილად იგრეხავ პირს, ტყუილად! გაბედე, წადი, შენი დეპეშა გამოართვი და შიგ შენი უბედურება ამოიკითხე; ხომ ჰხედავ, გარშემო ყველა მხიარულიაო“?!—ნეტა არ მიედ-მოედებოდე, მე არასფერს დეპეშას არ მოველი,—უპასუხა გერასომ, მაგრამ მეტი მოუსვენრობა დაეტყო.—ნეტა მალე მაინც მორჩეს და გაბრუნდეს ეს კაცი. ფიქრობდა იგი.

— გერასიმე ....ძეს!—ამოიკითხა ჩახრინწიანებულის ხმით უძილობისგან თვალებ-ჩასისხლიანებულმა „ფოჩტალიონმა“ და კიდევ ერთი დეპეშა გამოიშვირა თავისის სახელის ამოკითხვაზედ გერასო, თითქოს გული ჩასწყვიტესო, მთლად დაიბნა; ოდნავ კისერ-წამოგრძელებული ამაოდ სცდილობდა ნერწყვით გამხმარის ხახის ჩასველებასა და დეპეშას შეჰბეცებოდა.

— ო!.. ო!.. ო!.. გერასიმესაც, გერასიმესაც!.. შეჰბღავლეს ამხანაგებმა, მკლავებ გაყრილებმა გერასო „ფოჩტალიონთან“ მიიყვანეს და ათრთოლებულს, ცახცახებულს ხელში დეპეშა ჩაუდეს. დეპეშა ატყობინებდა: „დედა გადაგეცვალა, დამარხვას გიცდით“-ო.

— დედიჯან, დედი!..—შესძახა თმაში ხელების ტაცებით გერასომ და კრიჭა-შეკრული ამხანაგებს მიეყრდო.

გ. ახალციხელი

დაუტირალი აჩრდილი

(ლეგენდა პილატეს საფლავის შესახებ)

სვეტლოვისა

ქრისტეს სიკვდილის შემდეგ პილატემ რამდენიმე დღე უცნაურს

მდგომარეობაში გაატარა, კინაღამ ჭკუ-ზედ შესცდა. წყნარი და ნელი ხმა ქრისტესი მის ყურებში ისევე გაისმოდა და ქრისტეს მშვიდობიანი გამომეტყველება თითქოს სდევნიდა. სადაც უნდა წასულიყო ის, რაც უნდა ეკეთებინა, თვალ-წინ უდგა ნაღვლიანი სახე და ესმოდა სიტყვები, რომელთა დავიწყებაც ვერ შესძლო იმ დღიდგან, რაც პირველად მოისმინა.

— მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს. ამისთვის მოვივლინე სოფლად, რათა ვჰსწამო ჭეშმარიტი.

— რაჲ არს ჭეშმარიტება? — ჰკითხავდა პილატე და თან იტანჯებოდა.

და ყოველ ამ კითხვის დროს თვალ-წინ ეხატებოდა გოლგოთა, ჯვარი, რომელზედაც გაკრული იქმნა ღვთაებრივი ტანჯული და ის საშინელი სურათი მისის უკანასკნელ წუთებისა, როდესაც დაბნელდა ცა, შეირყა და გასკდა მიწა და კრეტსაბმელი იგი ტაძრისა განიპო ორად. ეხლა პილატე მიხვდა, რომ თვით ჭეშმარიტება მისცა ურწმუნოთ, რათა მიელურსმათ იგი სამარცხვინო ჯვარზედ, ჩირქი მოსცხო ამითი თავისს სახელს სამუდამოდ, ვინაიდგან უკანასკნელს წუთებში სისუსტე გამოიჩინა და ბრბოს მუქარა, უკმეხობა და თხოვნა დააკმაყოფილა.

პილატეს არც ცოლი აძლევდა მოსვენებას. მწარე საყვედურს უცხადებდა და პილატეს სიცოცხლე ისეთნაირი ტანჯული, ისეთნაირი ძნელი შეიქნა, რომ არა ერთხელ გაუელვა აზრმა თავის მოკვლისამ.

იუდეიაში და თავისს სასახლეში ატარებდა თავისს სინანულით აღსავსე, ფუჭს სიცოცხლეს და ერთხელ შემთხვევა მიეცა დარწმუნებულიყო, რომ სახეზედ შეჩვენების ბეჭედი აზის, რომ ყველანი, ვისაც მასთან რაიმე საქმე შეხვდებოდა, როგორც შავ ჭირს, ისე ერიდებოდნენ, სცნობდნენ რა ამ ბეჭედით ქრისტეს ჯალათს. სხვა გზა აღარა ჰქონდა რა, იმის გარდა, რომ იერუსალიმიდგან გადაკარგულიყო. ბოლოს ერთს ბნელს, ქარიშხალიანს ღამეში სისრულეში მოიყვანა კიდეც ეს განზრახვა.

მიატოვა რა ცოლი, სახლი, იგი გამოვიდა კარში ისე, რომ არავის შეუნიშნავს, და გასწია ქალაქის კარის-ბჭისაკენ.

საშინელი ღამე იყო. მას კვლავ ელანდებოდა გოლგოთა, ქრისტეს ჯვარი და ესმოდა სიტყვები:

— ამისთვის მოვივლინე სოფლად, რათა ვჰსწამო ჭეშმარიტი.

და იქნებ მესჯერ მაინც პილატე საცოდავად შეჰღაღადებდა:

— მაშ რაჲ არს, რაჲ არს ჭეშმარიტება?

იგი დიდხანს ვიდოდა, ბევრი განსაცდელი და გაჭირვება ნახა. სხეული მისი მოიქანცა, სული სასტიკად ეტანჯებოდა, სიმშილი და წყურვილი სტანჯავდნენ, ფეხები აღარ ემორჩილებოდა, ხოლო ის-კი მიდიოდა და მიდიოდა წინ, თუმცა არ უწყოდა სად, ან რისთვის მიდის.

გზაში ხშირად მოასწრობდა ხოლმე ღამე. ერთს ღამეს ის შეეხეჩა რაღაცა გრძელს, ბნელს აჩრდილს, რომელიც თითქოს მის გვერდით მიდიოდა გათენებამდის.

— ვინა ხარ? შეშინებული ჰკითხავდა პილატე, ხოლო აჩრდილი-კი სდუმდა ისე, როგორც სდუმდა საფლავის მსგავსი ჩუმი ღამე და როგორც სასოწარკვეთილად სდუმდა თვით სული უბედურის გარდახვეწილისა.

ოდნავ აელვარდა თუ არა განთიადის სხივი, პილატე დააკვირდა საშინელის აჩრდილის ნაკვთებს და შიშისგან ათრთოლდა.

ეს იყო „საუკუნო ურია“.

მათ იცნეს ერთმანეთი.

— მე წყეულ ვარ და მაწანწალად განწესებული, — სთქვა შესუსტებულის ხმით „საუკუნო ურიამ“.

— მე ტვირთად მაწევს საზარელი წყევლა-კრულვა, შენი წყევლა, კრულვა, პილატე! ვინაიდგან შენ რომ ის დასასჯელად არ მიგეცა, მე არ ჩავიდენდი იმას, რაც ჩავიდინე.

შიშისა და დაღლილობისაგან პილატეს მუხლთ მოეკვეცა და გზაზედ დაეცა ღონე-გამოლეული, მაგრამ „საუკუნო ურიამ“ შეუჩერებლივ აიწია იგი და თავისკენ წაათრია.

— მიცან განა, — დაიწყო ლაპარაკი საუკუნო მაწანწალამ: — მე ვარ ებრაელი ჯარის-კაცი, შენის სასამართლოს კარი-ბჭეში მდგომი. ბევრჯელ ვმდგარვარ დარაჯად სასამართლოსთან, ვიდექი იმ დღესაც, როდესაც ებრაელებმა კარი-ბჭის გვერდით გაატარეს სიკვდილით დასასჯელად გამზადებული ქრისტე; მე მეგონა, რომ ის სასტიკი დამნაშავე იყო და შენ სამართლიანად მიეცი ის დასასჯელად; მინდოდა რა შენი გული მომეგო, ზურგში ჩავარტყი და ვუთხარი ზიზღ მორეულის ღიმილით: „გასწი, ჩქარა, იესო! რა ნელა მიდიხარ! წადი, წადი, ჩქარა!“ შემომხედა. ოჰ, რა თვალით შემომხედა, არასოდეს არ დავივიწყებ იმ მკაცრსა და ნაღვლიანს შემოხედვას. და ნელის-ნელის ხმით მითხრა: „მე წავალ, მაგრამ შენ-კი ამ ქვეყნად უნდა უცადო ჩემს დაბრუნებასო“. ვიგრძენ, რომ უცნაურმა, შინაგანმა ძალამ იმ საათშივე გადამადგმევინა ფეხები... და წაველი. დიდხანს, დიდხანს ვიარე უსვენებლივ, ვიდრე ძალ-ზედ არ მოვიქანცე. მივდივარ და მივდივარ, კი არ ვიცი, სად... აჰ, პილატე, პილატე, შენ რომ ჩემთან იარო, შენს მხარზედ დავეყრდნობოდი და ვიგრძნობდი მთელს სიტკბოებას წუთიერის დასვენებისას მაინც.

— მეტი აღარ შემიძლიან! დაიკვნესა პილატემ: დაღლილობისაგან ძალა მელევა.

— მერე მე? განა ჩვენ გადაწყვეტილი არა გვაქვს?

პილატე მიწაზედ დაეცა; „საუკუნო ურიას“ ჰსურდა აეყენებინა, მაგრამ მასში მყოფმა საშინელმა ძალამ გასწია ის წინ. პილატემ შეღავათინო და დაინახა, რომ თითქოს უხილავი და საიდუმლო ქარიშხალი აშორებდა მას ამ გრძელს აჩრდილს.

„საუკუნო ურია“ გაჰქრა ახლად შობილ დღის სინათლეში.

ამის შემდეგ, როდესაც დაღამდებოდა, პილატეს შიში აიტანდა ხოლმე, რომ ისევ არ შეჰყროდა მუდმივი მგზავრი და ამის გამო ღამე ძილი უკრთებოდა. დღისითაც, როდესაც გზაში ვინმე მგზავრი შეხვდებოდა, ეშინოდა, სცდილობდა დამალულიყო, რომ მგზავრს ვერ შეემჩნია იგი, ეფარებოდა ქვას, ბუჩქს, ან მაღალს ბალახს; ერიდებოდა დასახლებულს ადგილებს, ქალაქებსა და სოფლებს გვერდით აუვლიდა ხოლმე, ემალებოდა ხალხს, როგორც კაცის მკვლელს, ისე ეშინოდა შურის-ძიებისა და დევნისა.

ამ გვარად მიაღწია რომამდე, რომელიც მის წინ მოულოდნელად, უეცრად, თითქოს მოჩვენებააო, ისე გაიშალა. პილატემ მალე ვერ იცნო იგი და აღელვებისა და მტანჯველის სიხარულის კანკალმა აიტანა.

მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა. წინანდელმა კაეშანმა შეიპყრო პილატე და მისი გული ისე დასერა, როგორც იმ ეკლის გვირგვინმა, რომელიც მისის ბრძანებით ქრისტეს თავზედ დაადგეს, როდესაც ის განაწესეს სამარცხვინოდ დასასჯელად. პილატეს გულში სისხლი აჩქროლდა. მის მიმქრალ თვალთა მხედველობას მღვრიე ტიბრი რაღაც ნაცრის ფრად ეჩვენებოდა, თითქოს გამდნარ ფოლადისაგან არის ეს მდინარე შედგენილიო. პილატეს მკერდიდგან უეცრად თავ-განწირული კვნესა აღმოხდა, თვალები გაუგანიერდა: მან დაინახა მეორე ნაპირზედ საშიშარი სახე „საუკუნო ურიისა“, რომელსაც მისკენ გაეწოდა თავისი გრძელი, ძვალ-ტყავად ქცეული ხელები.

— ჩემთან წამოდი! — უთხრა „საუკუნო ურიამ“.

— არ წამოვალ! — მიაძახა პილატემ. მუდმივ მაწანწალობას სიკვდილს ვარჩევ.

და, წარმოიდგინა რა თავისს წინ სახე ტანჯულისა, პირველად შეევედრა მას და ტიბრის ზვირთებში გიდაეშვა.

მდინარე გაშავდა, აბობოქრდა, გადმოვიდა ნაპირებიდგან და მოტივტივებით წაიღო უსულო გვამი პილატესი, რომელიც ქალაქის ნაპირას გააჩერა.

იცნეს, როდესაც მისი გვამი ერთს სასამართლოში მიასვენეს.

ტიბრი ხელ-ახლად საჩქაროდ თავის კალაპოტში ჩავარდა და მაშინვე ყველამ გაიგო, რომ მდინარეს არა ჰსურდა მიეღო თავისს წიაღში და ჩაემარხა გულში უდიდესი დამნაშავე ამა სოფლისა.

მთავრობას არა ჰსურდა პილატეს გვამის ქალაქში გაჩერება, ან ერთ-ერთ საქალაქო სასაფლაოზედ დამარხვა, რადგანაც ეშინოდა, რომ ღმერთს რაიმე სასჯელი არ მოევლინა მცხოვრებთათვის. ამიტომ პილატეს სხეული შეხვეულ იქმნა ქსოვილებში და გაჰგზავნეს შორს, შორს, რომის სახელმწიფოს საზღვრებს იქით, გალლიის უდაბურ და დაღვრემილ მთებში.

მას შემდეგ პილატეს გვამი განისვენებს მთის უმაღლეს მწვერვალზედ, დაღვრემილ ტბაში, სადაც ადამიანი ფეხს ისე ვერ დაადგამს, რომ შიგ არ ჩაიფლოს.

ვინც გინდა იყო, მწყემსი თუ მგზავრი, ბრწყინვალე დღის ელვარება განათებს, თუ უტყვ ღამის წყვდიადში მთვარის მატყუარა ნათელია შენის უსწორ-მასწორო სიარულის ხელმძღვანელი, — ერიდე ამ სახიფათო ადგილს, ხოლო უმჯობესია — გაიქეც აქედგან, რაც შეიძლება შორს, ვინაიდგან აქ რაღაც იმ გვარი ხდება, რომლის მარტო მოფიქრებაც ათრთოლებს იმ კაცის გულსაც-კი, რომელსაც სიკვდილისაც არ ეშინიან.

ხოლო უკეთუ შენი სვე-ბედი გიწვევს ამ კაეშნიან ადგილებისკენ, მიენდე მფარველ ანგელოსს, ჩაქინდრე თავი და გაფრთხილდი: ტბაში არა ჩააგდო რა. არ ჩააგდო შიგ არც ქვა, არც ხის ნაყოფი, არც კურკა, არც ბალახი, არც რკინა, არც ოქრო, ერთის სიტყვით, არაფერი, რომ არ გააღვიძო პილატე, რომელიც ამ ტბის ძირში განისვენებს და თეთრ სუდარასავით წყალი აფარია. ერთი თვალის დახამხამება — და ძალა, რომელსაც ის უჭირავს, როგორც დამნაშავე, შელახულ იქმნება: მაშინ ტბის წყალი გადმოვა ნაპირებიდგან, რადგანაც მას პილატე აურ-დაურევს, მთებში ქარიშხალი ამოვარდება და წაგიღებს შორს, როგორც ფრინველის ფრთიდგან გამოვარდნილს ბუმბულს.

პილატემ იმ იმედით მოჰკლა თავისი სხეული, რომ არასოდეს აღარ ენახა ჯვარი, რომელიც მოჩვენებასავით მუდამ სდევნიდა მას, მაგრამ ჯვარმა თვისი სინათლე ქვეყნიერობას მოჰფინა და არ არის ისეთი კუთხე, რომ მისი ძლიერება არა სჩანდეს. ხოლო პილატეს არ შეეძლო თავისი სული მოეკლა და იგი მთის ტბის წყლის ქვეშ მომწყვდეული სცოცხლობს, ჰფოთავს და ვერ დაწყნარებულა, ჰბობოქრობს და ეზმანება გოლგოთის მთაზედ ჯვარზედ მილურსმული ქრისტეს გაფითრებული გვამი.

პილატეს ეგონა, რომ ცივს სამარეში ჰპოებდა მშვიდობიანობას, მაგრამ შესცდა. იმას, ვინც ღვთის მცნებას არ ასრულებდა, ვინც თავისის ამ ქვეყნად ყოფნის დროს გადაბიჯა მისს კანოს, საფლავშიაც-კი არ ძალ-უძს მოსვენება. მუდმივი მშვიდობიანობა ხვედრია მართალთა. მიწამ არ ისურვა თავისს დედობრივს გულში ჩაეკრა სხეული ამ გამცემისა, რომელმაც ვერ შეიძლო და არ მოინდომა დაეცვა ქრისტეს სიმართლე.

ეხლა პილატე ყოველს წელს იბანს თავის ხელებს მთის ტბის წყალში, მაგრამ იგინი მაინც დალაქავებულია უცოდველის ღვთაებრივის ტანჯულის სისხლით, და მთელის დედა-მიწის ზღვათა და ტბათა წყალსაც-კი არ ძალუძთ მათი გარეცხვა. მართალია, რომ მან ქრისტე თავისი კაცობრივი სისუსტით გასცა, მაგრამ მას ეს დანაშაული ისევე არ მიეტევება, როგორც სიბოროტით გამცემელს.

სამი ნაღვლიანი აჩრდილი მუდამ იქნება ამ ქვეყნად იმ დრომდის, ვიდრე იგი ჰგიებს: აჩრდილი „საუკუნო ურიისა“, რომელმაც შეურაცხება მიაყენა ღვთაებრივს ტანჯულს, აჩრდილი იუდასი, რომელმაც გადასცა ქრისტე პილატეს ჯარის კაცებს, და აჩრდილი პილატესი, რომელმაც ქრისტე მტრებს მისცა.

ამბობენ, ვითომც შეიძლებაო პილატეს დანაშაულობის მიტევება, მისი გამოსყიდვა, უკეთუ მისი აჩრდილი დაიტირა ვინმეო. აქამდის კი ქვეყნად არ გამოჩენილა ისეთი კაცი, რომ ცრემლი დააყაროს მისს სამწუხარო ხსოვნას, და ან სად და როდის გამოჩნდება ამ გვარი კაცი?!.

ვანო გიუნაშვილი

ახალი ამბავი

*** ამას წინად ქუთაისში ადგილობრივ საკვირაო სკოლის მასწავლებელთ ქალაქის თეატრში სალიტერატურო საღამო გაუმართავთ განსვენებულის რაფიელ ერისთავის სახსოვრად. საღამოს ძალიან კარგად ჩაუვლია და ხალხიც ბევრი დასწრებია.

*** ოთხშაბათს, 4 აპრილს, თავად-აზნაურთა თეატრში ქართული დასი ვლ. მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოადგენს ნაძალადევში განზრახულ სამკითხველოს სასარგებლოდ „ედმონდ კინს“.

*** საერო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს სახელმწიფო საბჭოს წინაშე ხელოსნობისა და შინა-მრეწველობის გასაძლიერებლად რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას პროფესიონალურ სკოლების დაარსების შესახებ. სხვათა შორის ასეთის სკოლების დაარსება განზრახულია ფოთსა, ყარსსა და სხვაგან.

*** 4 აპრილს სხდომა ექმნება გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს ტფილისში საქალაქო არჩევნების საქმის გადასაწყვეტად.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას 19 ათასი მანეთი გარდაეცა ცხინვალისა და გორის ხიდების შესაკეთებლად და აგრეთვე გორში მდინარის გასამაგრებელ კედლის გასამართავად.

*** გზათა სამინისტროში შეუმუშავებიათ პროექტი იმის შესახებ, რომ რკინის გზის ყველა მოსამსახურეს სახელმწიფო სამსახურის უფლება მიენიჭოს.

*** პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება იმ მშრომელ ქალთა დასახმარებლად, რომელნიც ქარხნებსა, ფაბრიკებსა, პლანტაციებსა და სახელოსნოებში მსახურებენ. საზოგადოებას ქონებრივ დახმარების გარდა აზრადა აქვს დააარსოს ამ ქალთათვის საღამოს სკოლები, გამართოს კურსები, წაიკითხოს ლექციები და სხვა. საზოგადოება მოქმედებას პირველად პეტერბურგსა და მოსკოვში დაიწყებს.

*** ამას წინად ტფილისში გარდაცვალებულის ნ. ი. ზუბალაშვილის ოჯახს 100,000 მანეთი შეუწირავს ტფილისში სახალხო სახლის ასაგებად.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება 3 აპრილს მოხდება.

*** 30 მარტს, ღამის 11 საათზედ, ტფილისში ჩამოვიდა ავსტრიის იმპერატორის შვილის-შვილი. პრინცი გიორგი ბავარიელი.

*** ბათუმის ოლქის უფროსი ნ. კ. რეზანოვი ოზურგეთის მაზრის უფროსად გადაჰყავთ.

*** 16 მარტს, როგორც გაზ. „კავკ.“-ს სწერენ, დაბა ონში, დღისით, ბაზარში ჩხუბი მოსვლიათ ბიძა-ძმისწულს ასლანს და მინა იაშვილებს. ჩხუბის დროს მინა იაშვილს ამოუღია ხანჯალი და იქვე აუარებელის ხალხის თვალ წინ მოუკლავს ასლანა. მოკლული 35 წლის კაცი ყოფილა, მკვლელი — 22 წლისა.

გრაფინია სოფიო ტოლსტოის წერილი.

როგორც დეპეშამ გვაუწყა ამ დღეებში, რუსეთის ცნობილ მწერლის გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის მეუღლეს პეტერბურგის მიტროპოლიტის ანტონისათვის წერილი მიუწერია იმისა გამო, რომ უწმ. სინოდმა ლ. ნ. ტოლსტოი ეკკლესიიდგან განდევნილად გამოაცხადა. დეპეშამ გვაცნობა მიტროპოლიტის საპასუხო წერილის შინაარსი, მაგრამ წერილი გრაფინიასი არ გადმოუცია. მოგვყავს ახ

წერილი, რომელიც რუსულს სასულიერო ოფიციალურს გაზეთშია დაბეჭდილი. აი მისი შინაარსი:

„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელესობავ! გუშინ წავიკითხე გაზეთებში სინოდის სასტიკი განაჩენი ჩემის ქმრის, რაფის ლევ ნიკოლოზის ძის, ეკლესიიდგან განყენების შესახებ და, ვინაიდგან, რომ სხვა მწყემსმთავართა შორის თქვენც ხელს აწერთ ამ განაჩენს, ვერ შევიძელ გაჩუმებულიყავი. ჩემს მწარე განრისხებას საზღვარი არა აქვს. მე ის არ მაშფოთებს, რომ ამ ქაღალდის გამო სულიერად დაიღუპება ჩემი ქმარი, არა: ეს ადამიანთა ხელთ არ არის, არამედ ღვთის ხელშია. ადამიანის სულიერი ცხოვრება სარწმუნოების მხრივ ექვემდებარება მხოლოდ ღვთის განგებასა და ნებას. მაგრამ იმ ეკლესიის შეხედულობით, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელსაც არასოდეს არ გავშორდები, რომელიც ქრისტემ დააწესა და რომელიც ხმამაღლა უნდა ადიარებდეს კანონს სიყვარულისას, პატიებისას, სიყვარულს მტრებისადმი და რომელიც ყველასათვის უნდა ლოცულობდეს,—ამ ეკლესიის შეხედულობით, სინოდის განაჩენი გაუგებარია ჩემთვის. ეს განაჩენი გამოიწვევს ყველასაგან (გარდა „მოსკოვ. ვედომოსტებისა‛) არა თანაგრძნობას, არამედ განრისხებას, ხოლო ლევ ნიკოლოზისძისადმი დიდ სიყვარულსა და თანაგრძნობას. ჩვენ უკვე მთელი ქვეყანა თანაგრძნობას გვიცხადებს და ამგვარ გამოცხადებათ დასასრული არ ექნება. არ შემიძლიან აგრეთვე მწუხარებით არ მოვიხსენიო ის უაზრობა, რომლის შესახებ მე წინადაც მქონდა ზოგი რამ გაგონილი, სახელდობრ, სინოდის საიდუმლო განკარგულება მღვდლების მიმართ, რომ მათ ლევ ნიკოლოზის ძეს წესი არ აუგონ, როდესაც იგი გარდაიცვლება. ვინ უნდა დასაჯონ ამით? გარდაცვლებული, რომელიც არაფერს აღარა გრძნობს, თუ მისნი მორწმუნე მახლობელნი? თუ ეს მუქარაა,—ვის, ან რას ემუქრება სინოდი? ნუ-თუ წესის ასაგებად ვერ ვიშოვი რიგიანს მღვდელს, რომელიც არ შეუშინდება ადამიანთა განაჩენს წინაშე ჭეშმარიტის ღვთისა, ან ურიგოს, რომლის მოსყიდვაც ფულით შეიძლიან? მაგრამ ეს ჩემთვის საჭირო არ არის. ეკლესია ჩემთვის განყენებული ცნებაა და მის მსახურად მხოლოდ იმას ვთვლი, ვისაც ნამდვილად ესმის ეკლესიის დანიშნულება. ხოლო თუ ეკლესიად ვცნობთ იმ ადამიანთა კრებულს, რომელნიც, ბოროტებით აღჭურვილნი, კადნიერდებიან და არღვევენ უზენაესს კანონს—ქრისტეს სიყვარულს, მაშინ ჩვენ, მართლ-მორწმუნენი და ეკლესიაში მლოცველნი, აქამდისვე ზურგს ვაქცევდით მას. დამნაშავენი ისინი კი არ არიან, ვინც შეცდომით უარჰყო ეკლესია, არამედ ისინი, რომელთაც ამაყად აღიარეს თავი თვისი ეკლესიის ხელმძღვანელებად; უკანასკნელნი, სიყვარულისა, სათნოებისა და მიტევების მაგიერად, შეიქმნენ სულიერ ჯალათებად მათთვის, ვისაც უფალი უფრო შეუნდობს ცოდვებს, რადგანაც დაჰგმეს ყოველივე სიკეთე ამა სოფლისა მოძმეთა სიყვარულისა და დახმარებისათვის; ამათ უფრო შეუნდობს, ვიდრე იმათ, ვინც შემკულია ბრილიანტითა და ვარსკვლავებით მოჭედილ მიტრებით, ე. ი. იმ მწყემსმთავართ, რომლებიც ჰსჯიან და აძევნიან ეკლესიიდან. ჩემის სიტყვების დარღვევა ადვილად შეიძლება მხოლოდ პირფერულის მოსაზრებით; მაგრამ ღრმა შეგნება ჭეშმარიტებისა და ადამიანთა ნამდვილ განზრახვებისა — არავის არ შეაცდენს. 26 თებერვალი 1901 წ.

გრაფინა სოფიო ტოლსტოისა

დოქტორის ხარისხით დაჯილდოვებული ქართველი

(წერილი ლეიპციგიდგან)

ამ დღეებში დაისტამბა გერმანულს ენაზედ ჩვენის მამულიშვილის ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის დოქტორის ხარისხით დაჯილდოვებული დისერტაცია „Die 'georgische Hausgewerbe" (საქართველოს ოჯახური ხელოსნობა)

ეს წელიწად ნახევარია, რაც პატივცემული მუშაკი ამ შრომას შეუდგა. იმისდა მიუხედავად, რომ სამუშაო დრო ერთობ მოკლე იყო და გამოსაკვლევი მხარე მანძილით დაშორებულია, ავტორის მუყაითმა შრომამ, მასალების რიგიანად შესწავლამ, საკვლევი საგანი გონივრულად დაასაბუთა, ასე რომ ლეიპციგის უნივერსიტეტმა მეცნიერულ შრომად ჩასთვალა და დისერტაცია დოქტორის ხარისხით დააჯილდოვა. ვინ არ იცის, რომ ისეთი რთული საგანი, როგორიც ოჯახური ინდუსტრიაა, ბევრს დროს მოითხოვს გამომკვლევებისაგან საქმის რიგიანად შესწავლისათვის; მეორე—როგორ საძნელოა გამოკვლევა ჩვენის ქვეყნის აწმყო ოჯახურ ხელობისა, როცა რომ გამომკვლევი რამდენისამე ათასის ვერსის მანძილით არის დაშორებული. პირველ საქმის სიძნელეს ზედ დაემატა მეორე უძნელესი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ერთი-ორად ურთულებდა შრომას და საქმის გამორკვევა მეტს გულმოდგინე მუშაობას მოითხოვდა. ახალგაზრდა მეცნიერი საქმის პირნათლად აღსრულებას მხნედ მოეკიდა; მთელი წელიწად ნახევარი შრომით უკირკიტებდა თავისს საქმეს, დღესა და ღამეს ასწორებდა მუშაობით. უშველებელი ლიტერატურა გადაიკითხა რუსულსა და ქართულ ენაზედ, თუ-კი თქმულიყო რამე ამ საგნის შესახებ. წერილობითი პასუხებიც ბევრი ჰქონდა მოგროვილი, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაგან მოწოდებული. არ შემიძლიან აქვე პატივისცემით არ მოვიხსენიო ჩვენი მოხუცი ლიტერატორი ბ-ნი პ. უმიკაშვილი, რომელმაც ბეჯითად უგზავნა ყოველგვარი ავტორის მიერ დასახელებული წყაროები. ამას გარდა, თუ რამ იყო საქართველოს შესახებ გერმანულ ენაზე დაწერილი, ამასაც თვალი გადაავლო. ყველა აქ დასახელებული მასალები გულმოდგინედ შეისწავლა, ფაქტები ანალიზში გაატარა და გამოსაკვლევი საგანი მეცნიერულად დაასაბუთა.

დამთავრებული და დასრულებული შრომა ჩვეულებისამებრ პირველად ლეიპციგის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამეცნიერო სემინარიის კრებას წარუდგინა განსახილველად. ეს სამეცნიერო სემინარიის კრება შესდგება სტუდენტებისაგან, რომლებიც პროფესორ ბიუხერის ხელმძღვანელობით გამოკვლევებსა სწერენ პოლიტიკურ ეკონომიისას და სამეცნიერო საგნებს არჩევენ. სამეცნიერო სემინარიის ერთმა წევრთაგანმა დისერტაციის რეფერატი დასწერა და შემდეგ კრებაზედ წევრთ წაუკითხა გასარჩევად სემინარიის დირექტორ პროფესორ ბიუხერის თანადასწრებით. კრებაზედ ზოგიერთა საკითხი ავტორმა დაიცვა. შემდეგ კრებამ საერთოდ ღირსად სცნა წარედგინა ფაკულტეტის პროფესორ ბიუხერისათვის განსახილველად. დისერტაციის პროფესორ ბიუხერის ერთის კვირის ხელში ყოფნის შემდეგ საგანგებოდ იქნა მოწონებული და მიიღო ნება ავტორმა თავისი შრომა ოფიციალურად წარედგინა პროფესორთა კრებულისათვის დასამტკიცებლად.

ოფიციალურ განხილვის შემდეგ პროფესორთა კრებულმა მოიწონა და დისერტაციას დოქტორის ხარისხი მიანიჭა. ფაკულტეტის პროფესორმა ბიუხერმა უმაღლესის ნიშნით დააჯილდოვა, რაც იშვიათს მოვლენას შეადგენს ბიუხერის ცხოვრებაში. დისერტაციის დოქტორის ხარისხით დამტკიცების შემდეგ, ავტორი სიტყვიერ ეგზამენზედ გაიწვიეს გამოსაცდელად. სამის საგნის ეგზამენი გარდაიხადა: 1) პოლიტიკურ ეკონომიისა, თეორიულ და პრაქტიკულისა. ამავე საგანში შედის ფინანსიური მეცნიერებაც, 2) სტატისტიკისა და 3) საზოგადო უფლებისა. სიტყვიერი ეგზამენიც საუცხოვოდ იქმნა გარდახდილი და პირველს ორ საგანში უმაღლესი ნიშანი არგუნეს.

ამის შემდეგ ოფიციალურად გამოუცხადა ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერს დოქტორობის ხარისხით დაჯილდოება.

აი, რა მსჯავრი წარმოსთქვა პროფესორმა ბიუხერმა უნივერსიტეტის სახელმწიფო სამეცნიერო სემინარიის კრებაზედ წევრთა წინაშე ჩვენ მომავალ მუშაკის შესახებ: „გარდა იმისა, რომ ბ-ნ დოქტორ გოგიჩაიშვილის შრომა კარგის სტილით არის დაწერილი და ფაქტები ერთს დედა აზრზედ ხელოვნურად არის ასხმული, ავტორს ბევრი ორიგინალი აზრი აქვს გატარებული მეცნიერთა საყურადღებოდ და საგულისხმოდ. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენმა სემინარიის წევრმა ასე სამაგალითო შრომა გვიჩვენა და საუცხოვოდ ჩაგვაბარა სიტყვიერი ეგზამენი. ყველას გვმართებს მივულოცოთ ახალგაზრდა მეცნიერს ერთგულ შრომის გულისათვის მინიჭებული დოქტორობის ხარისხი". კრებამ მიულოცა საერთოდ თავისს მოძმეს. ამის შემდეგ თვით პროფესორ ბიუხერმა იკისრა გოგიჩაიშვილის დისერტაციის გამოცემის საქმე, რომლის შუამდგომლობითაც ერთ სამეცნიერო ჟურნალს დამატებად მიეცა დასაბეჭდად, როგორც მეცნიერული შრომა, ჟურნალის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ, რომლებსაც შეადგენენ გერმანიის პროფესორნი. სამეცნიერო ჟურნალის გამომცემმა პროფესორმა ბ ნ გოგიჩაიშვილის შრომა წიგნად გამოსცა და წიგნის მაღაზიებს დაურიგა გასასყიდად.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა პირველად დავინახე მაღაზიის ფანჯარაზედ გამოკიდებული ჩვენის მამულიშვილის შრომა გასასყიდად. ვუსურვებ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს დაუბრკოლებლივ და ასევე წარმატებით მსვლელობას მის მიერ არჩეულ გზაზედ.

ლ. აბ—შვილი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

აღდგომის მოახლოვებისას იერუსალიმის ქუჩები დიდძალის მლოცველებით ივსება ხოლმე. თითქმის ყველა ერის წარმომადგენელს შეხვდებით ამ დროს იქ. მრავლად არიან განსაკუთრებით რუსები. ყველას თან სანთლები აქვთ აღდგომის წინა დღეს „წმიდა ცეცხლზედ" მოსაკიდებლად. მლოცველნი შაბათს იკრიბებიან ამაღლების ეკლესიაში ამ „წმიდა ცეცხლის" მისაგებებლად. ნაშუადღევის ორ საათზედ გამოდის აღსავლის კარებიდგან ბერძენთა მიტროპოლიტი სანთლებით ხელში (ჩვეულებრივ მიტროპოლიტს 33 სანთელი უჭირავს ხოლმე) და მაცხოვრის კუბოს ნიშისაკენ მიდის. წინ მიტროპოლიტს შემოსილი სამღვდელოება მიუძღვის. მიტროპოლიტი მაცხოვრის კუბოს გამოქვაბულში შედის მარტოდ-მარტო; იმის შესვლისას კარებსა ჰხურავენ. ცოტა ხანს უკან გამოქვაბული ნათლდება და ფანჯრებიდგან სინათლე მოსჩანს, და სანთელ მოკიდებული მიტროპოლიტი გარედ გამოდის. ხალხი დიდ აღტაცებას ეძლევა; ყველა სცდილობს „ზეციდგან ჩამოსულ" ცეცხლით სანთლის მოკიდებას. ეკლესიამდე მიტროპოლიტი ხელით მიჰყავთ. ბოლოს ხალხი მოკიდებულ სანთლებით სახლში მიდის.

* * *

ნაზარეთის მახლობლად მაჰადიანთა ერთი პატარა სოფელია, სახელად დამუნი. სოფელში პატარა ბავშვი გამხდარა ავად. დედას რომ ვერაფერი გაუწყვია, ბოლოს ღვთის მშობლისთვის მიუმართავს ლოცვით და უთხოვნია განკურნება ბავშვისა. ნაზარეთში ღვთის-მშობლის ეკლესიაა; ამ ეკკლესიაში მაჰმადიანებიც ხშირად დადიან თურმე სალოცავად. არ გასულა ერთი თუ ორი კვირა, რომ ბავშვი მართლაც განკურნებულა. ამ გარემოებას ისე უმოქმედნია მაჰმადიანებზედ, რომ მთელი სოფელი ამდგარა და ნაზარეთში წასულა ღვთისმშობლის ეკლესიაში სალოცავად. ნაზარეთელნი ძალიან გაოცებულან, როდესაც 150 მაჰმადიანი დაუნახავთ ქუჩაში. მაჰმადიანნი მოწიწებით ეკკლესიაში შესულან და პატივის ცემითა ღვთის-მშობლის ხატის წინ გაჩერებულან. საზოგადოდ პალესტინის მაჰმადიანნი ძალიანა სცემენ პატივს ღვთის მშობელს.

გასართობი

(სააღდგომოდ)

აღდგომის ორშაბათია.

ქალები დაარიხინებენ და დაასრიალებენ ეტლებს სადარბაზოდ.

ქუჩის ყოველ კუთხეში გაისმის „ქრისტე აღსდგა!" „ჭეშმარიტად!" და კოცნის ტლაშა-ტლუში. ასეთივე ამბავია სახლებშიაც. აგერ ერთი ქალი გადაეხვია მეორეს.

— მომილოცნია დღესასწაული, ქმარშვილი გიცოცხლოს... ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად! (ჰკოცნის).

— ოჰ, ნინო, რა ტკბილი ტუჩები გაქვს! ალბად ძალიან დაშაქრული პასკა გიჭამია... დაიბანდი მაინცა.

— არა, განგებ წავისვი ტკბილი ტუჩის პომადა. ასეთი პომადა ეხლა ქართველ ფარმაცევტთა აფთიაქის მაღაზიაში იყიდება და ეწოდება „Délices du baiser"-ი... საკაცებოდ არის გაკეთებული... თუ არა-და, რასა ჰგავს: გაკოცებს კაცი და ვერც-კი გაიგებს, რა განსხვავებაა ლამაზისა და მახინჯის ქალის კოცნას შუა...

— მოგიხდა-კი დღეს კაცებთან კოცნა?

— როგორ არა, სამი მოდარბაზე გვეწვია... ერთს არ ვაკოცე: „რიჟა" თმები ჰქონდა და ასეთები-კი იუდა ისკარიოტელებსა ჰგვანან!.. ორს კი, მეტი რა ღონე იყო. .

— მერე, როგორა იმოქმედა შენმა „პომადამ"?

— ძალიან კარგად... კოცნის შემდეგ კარგა ხანს სულ ტუჩებს ილოკავდნენ...

* *

მეორე სახლი.

— მომილოცნია, ქეთევან... ქრისტე აღსდგა!..

— ძალიან კარგი, მაგრამ ტყუილად მეტანებით, ბ-ნო ქრისტეფორე, მამაკაცებს არა ვკოცნი.

— რასა ჰბრძანებ'თ, ბ-ნო ქეთევან, როგორ შეიძლება, წესია...

— თანახმა არ გახლავართ მაგ წესისა!..

— აბა იფიქრეთ: იმ დღეს რომ საქველმოქმედო წარმოდგენაში ვიღებდით მონაწილეობას, ხომ ვაკოცეთ ერთმანეთს!..

— ეგ სულ სხვაა!.. იქ ხელოვნების გამო მოხდა, და მერე ისიც საქველ-მოქმედო წარმოდგენის დროს... ეხლა კი თანახმა არა ვარ...

* *

მესამე სახლი.

— ქრისტე აღსდგა! მოდი, მაკრინე, გადაგეხვიო!..

— არა, ლუარსაბ, მე გადაწყვეტილი მაქვს: კოცნის ნება არავის მივცე.

— მიზეზი?!

— მიზეზი ის არის, რომ ძნელია საზღვრის გავლება, ვისი კოცნა შეიძლება და ვისი—არა!... მაგალითებრ, წესად არის, რომ ქალმა მოხუცებულს კაცს უნდა აკოცოს, ახალგაზდას—არაო. კარგი, მაგრამ ხშირად ისე მოხდება ხოლმე, რომ ... ახალგაზდაა, მაგრამ თავი მელოტი აქვს... ახლა მითხარ, შეიძლება იმისი კოცნა, თუ არა?.. აგერ მეორეც, ხნიერია, მაგრამ ნაპერწკლებს ისვრის თვალებიდგან... ისიც ძნელად გამოსარკვევია: ვისი კოცნა შეიძლება და ვისი არა. მაგალითად, ბეითალი ავიღოთ... ერთი ნაცნობი ბეითალი მყავს, ჩვენს გიშერასა სწამლობდა... რა არის ბეითალი?.. ექიმია, თუ არა? შეიძლება მისი კოცნა?.. ან კიდევ ვექილი ავიღოთ თუნდა: ერთ ნაირად უნდა აკოცოს ქალმა კერძო ვექილსა და ნაფიცს ვექილს?.. გუშინ, მაგალითებრ, სადარბაზოდ იყვნენ ჩვენსას: მოსამართლე, გამომძიებელი, მდივანი და სასამართლოს ბოქაული, ბანკის დირექტორი და ბუხგალტერი. ახლა რომელს როგორ ვაკოცო?!. რა სამართალი იქნება, რომ დირექტორსა და ბუხგალტერს ერთ გვარად აკოცოს ქალმა!.. ამიტომ გადავსწყვიტე: არავის ვაკოცო და ვაკოცნინომეთქი. ნურას უკაცრავად, თუმცა ჩემი მორეული ნათესავიცა ხარ, მაგრამ კოცნა... იქით გადავდოთ...

* *

მეოთხე სახლი.

— ბ-ნო თადეოზ, ლორის ჭამისა არ გეშინიანთ?.. ამბობენ, შიგ რაღაცა „ტრიხინები" ურევიაო.

— არა, მე „ტრიხინა" ვერას დამაკლებს, რადგან სიფრთხილითა ვჭამ..

— რა „სიფრთხილით"... დამლას უსინჯავ?!.

— ჩემთვის სულ ერთია, დამღა აქვს თუ არა ლორის ფეხს.. წესადა მაქვს: ყოველ ლუკმა ლორს ერთს ჭიქა არაყს წაუმძღვარებ ხოლმე წინ. ტრიხინა არაყს ვერ გაუძლებს და...

— რადა გგონიათ აგრე?.. ექიმმა გითხრათ?

— ექიმის თქმა რად მინდა, როდესაც ისეც აშკარაა ეს საქმე?.. აბა ერთი ჭიქა არაყი ბავშვს დაალევინეთ, რა დაემართება?.. ტრიხინა, რამდენად პაწაწკინტელაა ბავშვზედ?.. ერთს ჭიქა არაყში, რამდენიც უნდა იყოს, სულ დაიხოცებიან... აგერ მე, ამოდენა კაცი ვარ და მეექვსე ჭიქაზედ დავთარი დამებნევა ხოლმე... აბა ტრიხინა ჩემთან ფეხს როგორ გასჭიმავს?!..

?!.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მარტი

შლისსელბურგი. სათავედან ერთის ვერსის მანძილზედ ნევაში ყინული ჩადნა.

ტამბოვი. მდინარეები ადიდდნენ; ანეულს კარგი პირი უჩანს.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან, რომ პლუმერმა პიტერსბურგის დაპყრობის დროს 60 ბური დაატყვევა და ხელში ჩაიგდო ერთი შვიდ-გირვანქიანი ზარბაზანი და აგრეთვე დიდ-ძალი სამხედრო საზრდოსი და დინამიტი წაახდინაო.

პარიჟი. გაზეთ „Eclair"-ში დაბეჭდილია გრძელი წერილი რუსეთის ბოლონდელ ნოტის შესახებ მანჯურიის საქმეებისა გამო; წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „ეს ოფიციალური ცნობა მთელის ევროპისათვის თვალ-საჩინოდა ჰყოფს, თუ რამდენად ძლიერი და მტკიცე დიპლომატია ქვემძრომ და მოუხეშავ პოლიტიკის ხრიკებთან შედარებით სასარგებლოა. ეს ნოტა პასუხია იმ ხრიკისა, რომელმაც ინგლისი მთელის ქვეყნიერობის წინაშე სასაცილოდ გახადა; ინგლისი ისე გაება აფრიკის ომში, რომ აზიაში მოქმედება აღარ შეუძლიან. ინგლისს ეგონა, რომ იაპონია ერთგულ თანაშემწედ გაუხდებოდა და რუსეთთან ომს გაჰპედავდა; მაგრამ ეს კომბინაცია სასაცილოდ დაირღვა და ისიც რუსეთის სასარგებ-

ლოდ, რადგანაც რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება რომ დამტკიცებულიყო, მაშინ რუსეთი დანარჩენ ქვეყნების წინააღმდეგ მოვალე იქნებოდა თავისი ჯარები ჩინეთიდგან განსაზღვრულ ვადაზედ გაეყვანა“.

ნიცცა. პრეზიდენტი დილით წავიდა ნიცციდგან და 6 ს. 40 წამ. ვილაფრანკაში მივიდა, სადაც ლანესანი და ადმირალი მეგრე მიეგებნენ. ადმირალი ბირილევი და რუსის ოფიცრები პრეზიდენტს მიესალმნენ. ადმირალმა ბირილევმა სთხოვა ლუბეს, რომ რუსის ადმირალის გემი ენახულა; ლუბე დასთანხმდა. დარბაზობის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბირილევს საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვარი ჩააბარა, ჩინიდოვს—ოფიცრის ჯვარი და მიხაილოვს—კავალერიისა. ბირილევმა პრეზიდენტს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა, რის შემდეგაც ლუბე გემ „St. Louis“-ში ავიდა და 7 ს. 50 წ. ტულონში წავიდა; პრეზიდენტმა რომ რუსეთის გემების წინ გაიარა, რუსის ზღვაოსნებმა სალამი უძღვნეს და „ურას“ ძახილით გააცილეს. საფრანგეთის მთელი ესკადრა პრეზიდენტს გაჰყვა. რუსეთის ესკადრა ვილლაფრანკაში ერთს კვირას დარჩება.

ტულონი. სუბუქი გემების დივიზიამ ნავთ-სადგური მიატოვა და 7 საათზედ იმ ესკადრის მისაგებებლად წავიდა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს აცილებს. კამარას მახლობლად დივიზია ესკადრას შეჰხვდა და შეუერთდა მას, რის შემდეგაც სალამის ნიშნად ზარბაზანი 21 ჯერ დასცალეს. ზღვა ძლიერა ჰღელავს.

პარიჟი. ვალდეკ-რუსსოს უკეთესობა ეტყობა; ბიულეტენები აღარ გამოვა.

კოპენჰაგენი. რუსეთის იმპერატორის გემი „Штандартъ“ 27 მარტს რეველში წავიდა.

ვილლაფრანკა. რუსეთის გემმა, „Храбрый“-მ რუსის ესკადრას გაუსწრო და 5 საათზედ ნავთსადგურში შევიდა. გემ „Храбрый“-ზედ იმყოფებოდა ადმირალი ბირილევი. ამ გემიდან სალამის ნიშნად ზარბაზნები დასცალეს. რა წამსაც-კი ხმელეთზედ გადავიდა, რუსის ადმირალი ოთხის ოფიცრით მაშინვე ეტლში ჩაჯდა და ნიცცაში წავიდა. ეტლით მიმავალთ ხალხი სალამს აძლევდა. რუსეთის ესკადრის ორი სხვა გემი „Императоръ Александръ II“ და „Абрекъ“-ი ნავთ-სადგურში დადგნენ.

ნიცცა. ადმირალი ბირილევი და მისი ოფიცრები ვილლაფრანკიდან შვიდ საათზედ მოვიდნენ აქ. მოსულნი იმ წამსვე ლუბეს წარუდგინეს. პრეზიდენტთან დელკასსე იყო. ადმირალმა ბირილევმა ფრანგულად სთქვა, რომ რწმუნება მივიღე ჩემის იმპერატორისაგან საფრანგეთის პრეზიდენტს სალამი გადავცეო და ამას მით უფრო მეტის სიხარულით ასრულებ, რომ ნაბოძები მაქვს ხარისხი ბრესტის მოქალაქისა და ამიტომ საფრანგეთს თითქმის ჩემდა სამშობლოდ ვთვლიო. ლუბემ მადლობა გარდაუხადა და სთხოვა ადმირალს ბირილევს რუსეთის იმპერატორს უგულითადესი მადლობა გადასცეს. შემდეგ ლუბე და დელკასსე კარგა ხანს ესაუბრნენ რუსის ოფიცრებს, რომლებიც ბოლოს ლუბემ სადილზედ მიიწვია. სადილი გამართული იყო პრეფექტურაში. ტკბილეულობა რომ მიართვეს, საფრანგეთის პრეზიდენტმა რუსეთის იმპერატორის, ხელმწიფე დედოფლების, რუსეთის სახელმწიფო გვარეულობისა და მთლად რუსეთის სადღეგრძელო დალია.

ნიცცა. აი ლუბეს სიტყვის შინაარსი: „ადმირალო, გამოგგზავნათ-რა აქ საფრანგეთის პრეზიდენტის დასახვედრად, მათმა უდიდებულესობამ რუსეთის იმპერატორმა ამით თავისი მტკიცე და მეგობრული გრძნობა მოკავშირე სახელმწიფოსადმი ერთხელ კიდევ დაამტკიცა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ფრანგების გრძნობას გამოვხატავ მით, რომ იმპერატორისა, ხელმწიფე დედოფლებისა, იმპერატორის გვარეულობისა, დიდებულის რუსეთის იმპერიისა და რუსეთის ფლოტის სადღეგრძელოს წარმოვთქვამ“.

ადმირალმა ბირილევმა უპასუხა: „ნება მიბოძეთ რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ჩემის მეორე სამშობლოს, საფრანგეთის, სადღეგრძელო წარმოვსთქვა“. სადილის შემდეგ რუსის ოფიცრები ფრანგ ოფიცრებს ესაუბრებოდნენ; საღამოს 9 საათზედ ლუბეს გამოემშვიდობნენ და ვილლაფრანკაში წავიდნენ.

ნიცცა. ლუბემ სადილს შემდეგ პრეფექტურაში ბოლგარიის მთავარი მიიღო. შემდეგ პრეზიდენტთან დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე მოვიდა სანახავად. მთავარს ფერდინანდსა და დიდს მთავარს ლუბემ დარბაზობა გადაუხადა.

29 მარტი

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ ავაზაკთა იმ ბრბოს, რომელიც 30 მარტს ტანჯოუს დაეცა, დაედევნა კაპიტანი მეისტერი ერთის ქვეითა რაზმით და გაჰფანტა, ამასთან 20 ავაზაკი მოკლულ იქმნაო.

პარიჟი. იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ესკადრა მოულოდნელად ვილლაფრანკში მოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტის მისაგებებლად, დიდი სიხარული გამოიწვია მთელ საფრანგეთში. გაზეთები სიამოვნებით სწორედ ამ მეგობრულ ყოფაქცევის შესახებ. მელინის გაზეთი სწერს: „იმპერატორის ნიკოლოოზ მეორის ეს დემონსტრაცია არამც თუ მეტ სიყვარულსა და სახელს მოუპოვებს ხელმწიფეს საფრანგეთში, არამედ უფრო განამტკიცებს კავშირს, რომელიც ორსავე სახელმწიფოს აერთებსო“. „Rappel“ აცხადებს: „ეს მეგობრობისა და ზრდილობის დამამტკიცებელი საქციელი გულს მოუგებს ჩვენ მოქალაქეთ, რადგანაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს საფრანგეთ-რუსეთის კავშირის გულს წრფელობასა და სიმტკიცესო“. „Radical“-ი ამბობს: „ამ მანიფესტაციას დიდი გავლენა ექმნება მთელს საფრანგეთზედაო“.

ტულონი. 1 საათსა და 30 წუთზედ მოვიდა აქ საფრანგეთის ესკადრა. სიმაგრეებიდგან, აგრეთვე იტალიის ესკადრიდგანა და „პელაიოდგან“ ჩვეულებრივის სამხედრო სალამით მიეგებნენ. ჯავშნიანმა გემმა, რომელზედაც პრეზიდენტი იყო, იტალიის გემებს შუა გაიარა. ამ გემებზედ მყოფნი ზღვაოსანნი „ვაშას“ ძახილით მიეგებნენ პრეზიდენტს; ამავე დროს მუსიკა გემებზედ მარსელიეზას უკრავდა. ჰენუის ჰერცოგმა და იმის შტაბმა თავიანთ გემიდგან მისცეს სალამი პრეზიდენტსა და მინისტრებს. 2 საათზედ პრეზიდენტი ნაპირზედ გადავიდა.

ტულონი. ჰენუის ჰერცოგი შტაბითურთ „ლეპანტიდგან“ 3 საათზედ გადმოვიდა; ნავთსადგურში მდგომი 40 გემი ჩვეულებრივის სალამით მიეგება. თოფხანაში ჰერცოგს სამხედრო წესით დაჰხვდნენ. ჰერცოგი საზღვაო პრეფექტურაში წავიდა.

ტულონი. ლუბე საღამოზედ სადარბაზოდ იყო ჰენუის ჰერცოგთან „ლეპანტოზედ“. გემები ზარბაზნების სროლით მიეგებნენ; ლუბე 12 წუთს ესაუბრა ჰერცოგს; მერე წავიდა. დელკასსემ შემდეგ ჰერცოგს გადასცა საპატიო ლეგიონის ოფიცრის დიდი ჯვარი. პრეფექტურაში დაბრუნებისას ლუბემ მიიღო მოხელენი, შემდეგ თოფხანაში ჰერცოგის პატივსაცემად გამართულს ნადიმზედ წავიდა. გზაში ხალხი ყველგან ალტაცებით ეგებებოდა. ლუბემ რუსეთისა, სხვა სახელმწიფოთა და საფრანგეთის ოფიცრების სადღეგრძელო წარმოსთქვა. „პელაიოს“ უფროსმა საპასუხოდ მიუგო, დიდად მიხარის იმის გამო, რომ მე მარგუნა ბედმა ესპანიის მთავრობისა, ხალხისა და ფლოტის გრძნობათა გამოცხადებაო. შემდეგ გემის უფროსმა საფრანგეთისა და იმის სამაგალითო ფლოტის სადღეგრძელო წარმოსთქვა. რუსეთის ერთის ნაღმიანის გემის უფროსმა რუსთა სადღეგრძელოს სამადლობელი წარმოსთქვა: „თქვენი სიტყვები ყველა რუსის გულსა ჰხვდება. ვსვამ საფრანგეთის სახელისა და იმის ერისა და ფლოტის წარმატებისათვისაო“. ჰერცოგი და ფლოტი შაბათამდე რჩება. ჰერცოგს უნდა იმ საუზმეზედ დაესწროს, რომელსაც საფრანგეთის ესკადრის უფროსი გაჰმართავს. ნადიმის შემდეგ ლუბე და ჰერცოგი აივნიდგან ვენეციელთა დღესასწაულს უყურებდნენ. ქალაქი და გემები გაჩირაღდნებული იყო.

ტულონი. პრეფექტურაში ლუბემ საპატიო ლეგიონის სამი ჯვარი და მრავალი მედალი გადასცა „კარროს“ ზღვაოსნებს, რომელთაც ფორმანის კუნძულის მახლობლად გემი „Russie“ გადაარჩინეს.

ტულონი. ჰერცოგის წასვლისას, ლუბემ, მინისტრებით გარს შემორტყმულმა, „პელაიოს“ ოფიცრები მიიღო. გემის უფროსმა დიაზმა სიხარული განაცხადა იმის გამო, რომ ბედმა იმას არგუნა პრეზიდენტისათვის დედოფალ-რეგენტის სალამის გადაცემა. პრეზიდენტმა მადლობა გარდაუხადა. გთხოვთ გადასცეთ ჩემ მაგიერ დედოფალს, სთქვა პრეზიდენტმა, გრძნობანი პატივის-ცემისაო. შემდეგ ლუბემ მიიღო იაპონელი ლეიტენანტი, რომელსაც საპატიო ლეგიონის ჯვარი უბოძა. ბოლოს პრეზიდენტმა მიიღო რუსეთის ორივე ნაღმიან გემის უფროსი. გამოსვლისას ოფიცრებს ალტაცებით მიეგებნენ. 4 საათზედ ლუბე პრეფექტურიდგან წავიდა და გემში ჩაჯდა ჰენუის ჰერცოგთან სადარბაზოდ წასასვლელად.

ტულონი. მოსვლისავე ჰერცოგი ლუბესთან შეიყვანეს. ლუბემ და ჰერცოგმა ერთად 20 წუთი დაჰყვეს. ჰერცოგმა პრეზიდენტს მეფის სახელით გადასცა ხარების ორდენის ჯაჭვი. 3 საათზედ ჰერცოგი ნავთ-სადგურში წავიდა. ხალხი ყველგან ალტაცებით ეგებებოდა.

ნიცცა. ლუბეს სადღეგრძელოს საპასუხოდ „იმპერატორ ალექსანდრე II“ გემზედ ადმირალმა ბირილევმა სადღეგრძელო წარმოსთქვა საფრანგეთის წარმატებისა და იმის ფლოტისა და ჯარის სახელისათვის. ლუბემ საპატიო ლეგიონის ჯვარი უბოძა გემის უფროს ბრანიცკის. შამპანიური შემოიტანეს. ლუბემ აიღო ჭიქა და სთქვა: „ბედნიერი ვარ, რომ იმპერატორმა ნიკოლოოზ მეორემ გამოგზავნა ესკადრა ადმირალის ბირილევითურთ საფრანგეთის პრეზიდენტის მისაგებებლად. დიდად მადლობელი ვარ მე ასეთი თანაგრძნობისათვის. ვიღებ ჭიქას იმპერატორ ნიკოლოოზ მეორის, იმპერატრიცის და მთლად რუსეთის ხალხის, ჩვენის მეგობრისა და მოკავშირის სადღეგრძელოდ, აგრეთვე რუსეთის ფლოტის საკეთილდღეოდ“.

კაპშტადტი. უკანასკნელის ცნობებით, ბოტა მზადაა თურმე, როგორც ბურთა ჯარის წარმომადგენელმა, მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს. ამას წინად, როდესაც დევეტსა და იმას თათბირი ჰქონდათ, გამოირკვა, რომ დევეტი წინააღმდეგია დამორჩილებისა; მაგრამ ბოტა, როგორც ამბობენ, დარწმუნებულია თურმე, რომ დევეტი ზნეობრივად იმ ნაირი კაცია, რომელსაც პასუხის მგებლობა ვერ მოეთხოვება. ამასთან, რადგანაც დღემდე მხოლოდ დევეტია წინააღმდეგი ზავის დადებისა, ამიტომ ბოტასა ჰსურს ხელახლა დაიწყოს მოლაპარაკება. ჰფიქრობენ, რომ თუ ბოტა დამორჩილდა, დევეტს მალე გაუსწორდებიანო, რადგანაც იმისი ჯარი თანთან მცირდება. როგორც ნახევრად ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, ბოტა და კიტჩენერი ერთმანეთს ხელ-ახლა შეჰხვედრიან სალაპარაკოდ.

პეტერბურგი. 29 მარტს ნაშუადღევის 6 საათზედ, დანიიდგან პეტერბურგში მობრძანდა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული. ალექსანდროვსკის სადგურზედ დედოფალს დაჰხვდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული. სადგურიდგან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი საზამთრო სასახლეში წაბრძანდნენ.

პეკინი. კაპიტანი ბარჩი მკვდარი ჰნახეს პეკინის მახლობლად. რამდენადაც გამოძიებამ გამოარკვია, კაპიტანი უბედურ შემთხვევის მსხვერპლი უნდა გამხდარიყოს.

პეკინი. ბარჩი საზაფხულო სასახლის მახლობლადა ჰნახეს მკვდარი. ზურგში ჭრილობა ჰქონდა. რადგანაც მკვდარს საათი და ფული თანა ჰქონდა, ჰფიქრობენ, რომ გასაძარცვავად არ მოუკლავთ კაპიტანი.

მადრიდი. მინისტრთა საბჭომ არჩევანები 29 მარტისთვის დანიშნა, პარლამენტის გახსნა—7 ივნისისათვის.

30 მარტი.

ტულონი. „ლეპანტაზედ“ გამართულს საუზმეზედ გენუის ჰერცოგმა პრეზიდენტის ლუბეს სადღეგრძელო წარმოჰსთქვა; ჰერცოგმა ლუბეს ჭიქა მიუჯახუნა და ხელი გულიანად ჩამოართვა. საუზმის შემდეგ ლუბე ჰერცოგმა მიიწვია და „ლეპანტო“ დაათვალიერებინა; ჰერცოგი ელაპარაკებოდა იმის შესახებ, თუ სხვა-და-სხვა ერმა შეიარაღების საქმე ხმელსა თუ ზღვაზედ რა განვითარებამდე მიიყვანა და იარაღი, დროის და მიხედვით, როგორ იქმნა განკარგებული. ლუბემ გამოსთქვა აზრი იმის შესახებ, თუ რა საზარელი პასუხის-მგებლობა მოეთხოვება მას, ვინც-კი ომს ასტეხს. გენუის ჰერცოგმა უპასუხა, რომ ასეთს ერთმანერთის ნახვას, როგორც დღეს ჩვენ მოგვიხდა, ერთა შორის დამოკიდებულებისა და განწყობილებების განკარგებას ხელს უწყობსო. ლუბე წასვლის დროს ჰერცოგმა გემიდგან გადასავალ კიბემდე მიაცილა და გულით ჩამოართვა ხელი. „ლეპანტოს“ გარს მრავალი ხალხი ეხვია ნავებითა, ცხვირსახოცებსა და ქუდებს უქნევდნენ და ლუბესა, რესპუბლიკასა, საფრანგეთსა და იტალიას გაუმარჯოსო, გაიძახოდნენ. ნაშუადღევს ლუბემ წყალს ქვეშ მავალი გემები დაათვალიერა და ამ გემებით გაისეირნა კიდეც. პრეზიდენტმა შემდეგ რუსეთის გემები დაათვალიერ აქ აშენებენ ალა. გემების უ სებს ჯილდო მისცა და შ ქალაქის მიერ გამართულს ლისში წავიდა. ქალაქის მოურ სადღეგრძელოს საპასუხოდ ლ სთქვა, რომ იგი არავითარს მას არ დაჰზოგავს და ეცდება, მოქალაქეთა შორის ერთობა იქ დამყარებული და საფრანგეთის რეგანი და შინაგანი კეთილ-დ ობა განკარგდეს.

ტულონი. პრეზიდენტს „ცე რევიჩის“ ასავალს კიბეზედ „ბა ნის“ უფროსი როდიონოვი მიეგე „საფრანგეთის მრეწველობამ, ვისის ხელოვნების წყალობით, სეთს ახალი ძლიერება და ძვ ფასი წყარო ძალთა შესძინაო, სთქვა როდიონოვმა. ჩვენის გემ წარმოშობა არასოდეს არ გვავიწყდება და შემდეგში დამ ამაყად შევეგებებით ჩვენ მეგობარ და მოკავშირე ერის მებსა და საფრანგეთის დრო სალამს შევძლევნით“. ლუბემ თა სი სიხარული განუცხადა იმისა მო, რომ რუსეთმა ასეთის მნიშ ლობის გემების ასაშენებლად სა რანგეთის მრეწველობას მიჰმართ პრეზიდენტი ავიდა კიბეზედ და მიეგება მას „ცესარევიჩის“ უფრო სი გრიგოროვიჩი. ლუბემ ყვე ოფიცრებს ხელი ჩამოართვა და გ მი დაიარა. წასვლის დროს ლუბ „ბაიანის“ უფროსს როდიონო საპატიო ლეგიონის კომანდორ ჯვარი გადასცა, ხოლო „ბაიანის“ უფროსის თანაშემწეს 2 რანგის კ პიტანს სემენოვს ოფიცრის ჯვარ გადასცა; საღამოთი გრიგოროვიჩ მიიღებს საპატიო ლეგიონის კომან დირთა ჯვარს.

ტულონი. ჰენუის ჰერცოგი ქა ლაქის მიერ გამართულ ნადიმზე დაესწრო. მერი სადღეგრძელოთ მიესალმა რუსთა ბაირაღს, „რო მელსაც დაუვიწყარ 1893 წლ ოქტომბრიდგან—სთქვა მან—ჩვენ მანიფესტაციებს უერთებთო. ტუ ლონი არ დაივიწყებს იმ ღირს-შ სანიშნავს ხანას, როდესაც ადმირა ლი აველანი მოვიდა აქა, ვითარც მატარებელი თავისის მაღალის მიხ სიისაო“. ლუბეს მხურვალედ მიე სალმნენ ჰენუის ჰერცოგი, იტალი ისა, რუსეთისა და ესპანიის ოფიც რები.

ტულონი. ლუბე მეგობრულად გამოესალმა ჰენუის ჰერცოგს და საღამოზედ ქალაქიდგან წავიდა.

კონსტანტინოპოლი. მსოფლიო საპატრიარქოში დიდი კრიზისია, რომელიც გამოიწვია სინოდისა და პატრიარქის კონსტანტინე მე-V-ის საბჭოს შორის მომხდარმა უკმაყოფილებამ. სინოდის წევრთა უმრავლესობა და საპატრიარქო საბჭო, რომელიც შესდგება ყოფილ პატრიარქის იოახიმ მე-III-ის მომხრეთაგან, პატრიარქს კონსტანტინეს იმის ბრალს სდებს, რომ კონსტანტინემ, ვითარცა საპატრიარქო საქმეთა გამგემ, ვერაფერი გააწყო პორტის წინაშეო. გუშინ სინოდისა და საბჭოს სხდომამ სამჯერ მოახსენა პატრიარქს, თანამდებობას თავი გაანებეო. პატრიარქმა უარჰყო ეს წინადადება. ამის შემდეგ უმრავლესობამ ოქმი შეადგინა, რომელშიაც პატრიარქის დათხოვნას თხოულობს გუშინ ოქმი წარუდგინა პორტ ს დასამტკიცებლად.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ. ზ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს: ბ ნმა სერგეი წერეთელმა 500 მან., ხოლო ბ-მა ივანე ჯაბადარმა 480 მან. გამგეობა საზოგადოებისა შემომწირველთ უღრმეს მადლობას უძღვნის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Марта 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.